პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ(ბ) კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, და თბილისის კომიტეტისა
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 1943 წ. № 213 (6838). ფასი 20 კაპ.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-მაიორ ბეზუგლის 158-ე მსროლელ დივიზიას, **პოლკოვნიკ კოვალიოვის** გვარდიის 28-ე სატანკო ბრიგადას, **პოლკოვნიკ საველევიჩის** მე-4 გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ბრიგადას, **პოლკოვნიკ გაბიდაშვილის** 427-ე საჰაუბიცო არტილერიის პოლკს და **მაიორ ბირზოვეის** 114-ე მოტო-საინჟინრო ბატალიონს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ვიტებსკის მიმართულებით გერმანელთა თავდაცვის დიდი კვანძის—**ლიოზნოს** დაკავებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ლიოზნოს**“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

ლიოზნოს 158-ე მსროლელი დივიზია,
ლიოზნოს გვარდიის 28-ე სატანკო ბრიგადა,
ლიოზნოს მე-4 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ბრიგადა,
ლიოზნოს 427-ე საჰაუბიცო არტილერიის პოლკი,
ლიოზნოს 114-ე მოტო-საინჟინრო ბატალიონი.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 10 ოქტომბერი.

ბოგდან ხმელნიცკის ორდენი

„ერავდის“ მოწინავე—11 ოქტომბერი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესებულია ბოგდან ხმელნიცკის ორდენი სამი ხარისხისა. ახალი ორდენით აღნიშნული იქნება მეომრული მამაცობა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურებისა და მებრძოლებისა, პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელებისა და პარტიზანებისა, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ბოგდან ხმელნიცკის ორდენი მკერდს დაუმშვენებს საბჭოთა ხალხის იმ გმირ შვილებს, რომლებიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ გაბედულებასა და უნარს მტრის განადგურების ოპერაციებში, მაღალ პატრიოტიზმს, მამაცობასა და თავდადებას.

მაღალია წითელი არმიის, მისი მხედართმთავრების, მეთაურებისა და მებრძოლების სამხედრო ოსტატობა. სამხედრო ხელოვნება მრავალმხრივია. უნარიანი მანევრის გამოყენებით წარმატებით ჩატარებული ოპერაცია, რომლის შედეგადაც მტრისაგან თავისუფლდება რაიონი, ქალაქი ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დასახლებული პუნქტი; პარტიზანული რაზმების შენაერთის მიერ ჩატარებული ოპერაცია, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მტრის ჯარების შტაბის განადგურება, მისი სამხედრო ბაზის ხელში ჩაგდება, მოსპობა დიდი ტრანსპორტებისა ცოცხალ ძალიანად და ტექნიკიანად; პარტიზანული რაზმების მიერ წითელი არმიის ნაწილებთან ერთად უნარიანად ჩატარებული საბრძოლო ოპერაცია, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მტრის საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლება; მტრის გამაგრებული ზოლის გარღვევა, წყლის ზღუდის წარმატებით გადალახვა, ღრმა რეიდი მტრის ზურგში, პარტიზანული რაზმის მიერ უნარიანად მოწყობილი და წარმატებით ჩატარებული ოპერაცია, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მტრის დასაყრდენი პუნქტის განადგურება. მტრის გარნიზონის გაყლეტა, გერმანიის კატორღაში წასაყვანად გამზადებული საბჭოთა მოქალაქეების განთავისუფლება—ასეთია არასრული სია იმ საბრძოლო საგმირო საქმეებისა და სამხედრო ხელოვნების ნიმუშებისა, რომლებიც იძლევიან ბოგდან ხმელნიცკის ამათუიმ ხარისხის ორდენის მიღების უფლებას.

უჭკნობი სახელით შემოსა თავისი დროშები წითელმა არმიამ ეპიკურ ბრძოლებში უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. არასოდეს არ ყოფილა ასე მაღალი რუსული იარაღის ძლევამოსილება, რომლის დიდებაც დაკავშირებულია ჩვენი წინაპრების — სუვოროვის, კუტუზოვის, ალექსანდრ ნეველის დიად სახელებთან. და შემთხვევით როდი ჰქვია საბჭოთა საბრძოლო ორდენებს სახელები სახელგანთქმული რუსი მხედართმთავრებისა, დიდი პატრიოტებისა. რომლებიც ზრუნავდნენ ჩვენი სამშობლო მიწა-წყლის დიდების, დამოუკიდებლობისა და ძლიერებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დღევანდელი ბრძანებულებით სუვოროვის, კუტუზოვის, ალექსანდრ ნეველის ორდენებს ემატება ბოგდან ხმელნიცკის—უკრაინელი ხალხის დიდი შვილის ორდენი.

მოწიწებით სცემს პატივს უკრაინელი ხალხი ბოგდან ხმელნიცკის სახელს. იგი საყვარელია რუსი ხალხისათვის, მას იცნობს და უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით წარმოსთქვამს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, იმიტომ, რომ მასთან განუყოფლად არის დაკავშირებული უკრაინელი ხალხის ბრძოლა უცხოელთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, მასთან არის დაკავშირებული უკრაინელი და რუსი ხალხების ისტორიული გაერთიანება, უკრაინელი და რუსი ხალხების ძმური კავშირი.

როდესაც ბოგდან ხმელნიცკიმ აღმართა უკრაინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, მან წარმოსთქვა ისტორიული სიტყვები: „მე გადავწყვიტე შური ვიძიო არა მარტო ჩემი შეურაცხყოფისათვის, არამედ მთელი რუსი ხალხის ტანჯვისთვის“.

თავისი დროის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს, მას საუცხოოდ ესმოდა, რომ უკრაინელი ხალხის ხსნა შესაძლოა მარტო ერთი გზით—მოძმე რუს ხალხთან კავშირით. ბოგდან ხმელნიცკიმ თავისი სიცოცხლე ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას მოანდომა: უკრაინის განთავისუფლებას უცხოელთა უღლისაგან და რუსეთთან უკრაინის გაერთიანებას. ამ მიზნის განხორციელებას მან მიაღწია თავისი მძლავრი ნებისყოფის, თავისი დაუშრეტელი ენერგიის მთელი ძალით. თავის დიად ამოცანას მოანდომა მან თავისი ბრწყინვალე ტალანტი ორგანიზატორისა, გამოჩენილი თვისებანი მხედართმთავრისა და ჯარის უფროსისა, თავისი ხელოვნება შესანიშნავი დიპლომატისა.

მგზნებარე პატრიოტმა და უშიშარმა მეომარმა, რომელმაც იცოდა ისეთივე მწვავე სიძულვილი მტრებისა, როგორც თავისი სამშობლო მიწა-წყლის სიყვარულიც, ხმელნიცკიმ ბრწყინვალედ გადასჭრა ისტორიის მიერ მის წინაშე დასმული ამოცანები. თავისი პოლკების დროშების ქვეშ მან გაერთიანა უკრაინელი ხალხის საუკეთესო შვილები და მტერზე მრავალი გამარჯვება მოიპოვა. სამხედრო ისტორიამ იცის ხმელნიცკის სახელოვანი გამარჯვება ჟოლტიე ვოდისთან, კორსუნთან, მდინარე პილიავკასთან, კონსტანტინოვთან, ზბარაჟთან...

მაგრამ ბოგდან ხმელნიცკის მოღვაწეობის მწვერვალი იყო გადაწყვეტილება, რომელიც უკრაინელმა ხალხმა 1654 წლის მიიღო რადაზე პერეიასლავში. რადის დღეს, როგორც ისტორია მოგვითხრობს, მოსული ხალხი მოთავსდა არა მარტო მოედანზე, არამედ მეზობელი სახლების სახურავებზედაც და ხეებზედაც. მარტო ერთი საკითხი უნდა გადაეწყვიტა რადას: ვისთან იაროს, ვისთან იყოს. და რადამ ერთსულოვნად გამოსთქვა აზრი რუს ხალხთან გაერთიანების შესახებ. მომე ხალხების—რუსი და უკრაინელი ხალხების — გაერთიანებაში მდგომარეობს ბოგდან ხმელნიცკის უდიდესი ისტორიული დამსახურება.

ბოგდან ხმელნიცკის სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენი საშშობლო მიწა-წყლის იმ ისტორიულ ადგილებთან, სადაც ახლა სასტიკი ბრძოლები სწარმოებს ჰიტლერელ ავაზაკებთან. ჭაღარა დნეპრს ახსოვს ხმელნიცკის სახელი, ისე როგორც იგი ახსოვს ჩერნიგოვს. პერეიასლავს და უკრაინის სხვა სახელოვან ქალაქებს. თითქმის სამასმა წელმა განვლო მას შემდეგ. რაც ცხოვრობდა და უკრაინისათვის იბრძოდა ბოგდან ხმელნიცკი. შაშინაც არ მოიხარა ქედი მტრის წინაშე ამაყმა, თავისუფლებისმოყვარე უკრაინამ. არ დაემორჩილა მტერს უკრაინა არც ამ ჟამად. საბჭოთა მიწა-წყლის სხვა ხალხებთან, პირველ რიგში დიდ რუს ხალხთან ძმურ კავშირში იბრძვის გმირული უკრაინა საძულველი მტრის შემოსევისაგან თავისი განთავისუფლებისათვის.

ვერ დაიპყრობენ ჰიტლერელი მძარცველები უკრაინას! განდევნის წითელი არმია მტრის ძალას საბჭოთა მიწა-წყლიდან. მალე, მალე კვლავ დაინახავენ საბჭოთა ადამიანები განთავისუფლებულ კიევში უკრაინელი ხალხის დიდი შვილის, ბრინჯაოს ცხენზე მჯდომ ბოგდან ხმელნიცკის მძლავრ ფიგურას. მტკიცედ უპყრიათ საბჭოთა ჯარებს მათ მიერ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე დაკავებული პლაცდარმები. დადგება დრო, როცა უკრაინაში, ისე როგორც ამჟამად ყუბანში, აღარ იქნება არც ერთი გერმანელი დამპყრობი. მტერი სთვლიდა, რომ დნეპრი გადაულახველი ზღუდეა წითელი არმიისათვის. მტერი ანგარიშში მოსტყუვდა, ისე როგორც ანგარიშში მოსტყუვდა ყუბანშიც, სადაც განადგურებულია მისი თავდაცვის ყბადაღებული „ცისფერი ხაზი“.

მტრის ტამანის დაჯგუფების განადგურება, რომლის შედეგად საბოლოოდ ლიკვიდირებულია ყუბანში გერმანელთა ოპერატიულად მნიშვნელოვანი პლაცდარმი, რომელიც უზრუნველყოფდა მათ მიერ ყირიმის დაცვას და კავკასიის მიმართულებით შეტევითი მოქმედების შესაძლებლობას, — წითელი არმიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ჯერ კიდევ მოგველის ძნელი ბრძოლა გაიფთრებულ მტერთან. მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. წითელი არმია მზად არის ახალ-ახალი ბრძოლისათვის, უკრაინის სრული განთავისუფლების დიადი საგმირო საქმეებისაკენ. ჩვენი სახელოვანი სამშობლოსათვის საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს მას ბოგდან ხმელნიცკის, უკრაინელი ხალხის დიდი შვილისა და დიდი მხედართმთავრის სახელი.

ქრონიკა

ქ. თბილისში კინოთეატრ „დამკვრელის“ ბაღურებელთა დარბაზის აღდგენის სამუშაოებში არასაკმაო ყურადღებისა და ამ მუშაობის მეტისმეტი გაჭიანურებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭომ საყვედური გამოუცხადა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამართველოს უფროსს ამხ. თოთაძეს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის საოლქშენებლო კანტორის უფროსს ამხ. თვალაჭაძეს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

დნეპრის შუაწელის ზოლში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარის მარჯვენა ნაპირზე წინანდელ რაიონებში პლაცდარმების გასაფართოებლად და ცალკეულ უბნებზე მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები.

გომელის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მდინარე სოჟის მარცხენა ნაპირზე დაიკავეს **რკინიგზის** კვანძი და ქალაქ **გომელის** გარეუბანი **ნოვო-ბელიცა**, აგრეთვე რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის **რომანოვიჩი, იაკუბოვკა, სევრიუკი.**

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **სამოსადკი, სვირბი, დობრომისლი, ნოვაია ზემლია, იანკოვიჩინა, ლიტვინოვო.**

10 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოხპეს გერმანელთა **126** ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის **85** თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ერთ რაიონში 6 შენაერთის ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებში ნაბიჯ-ნაბიჯ აფართოებენ დაკავებულ პლაცდარმს. მოწინააღმდეგემ დღის განმავლობაში 5 კონტრიერიში მოიტანა ქვეითი ჯარის ძალებთან, რომელსაც ეხმარებოდნენ ტანკები, თვითმავალი ქვემეხები და ავიაცია. ამ უნაყოფო კონტრიერიშებში ჰიტლერელებმა მძიმე ზარალი ნახეს. მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი არტილერიისა და გვარდიელ ნაღმტყორცნელთა ცეცხლით დამწვარია მტრის 29 ტანკი და დაზიანებულია 19 ტანკი. სხვა რაიონში მოწინააღმდეგემ სცადა არტილერიის ცეცხლით შეეკავებინა ჩვენი ჯარების წინსვლა. საბჭოთა მფრინავებმა მძლავრი დარტყმით ჩაახშეს გერმანელთა საცეცხლე საშუალებანი. ჩვენი ქვეითი ჯარი და ტანკები იერიშზე გადავიდნენ და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა გასტეხეს. წინ წაიწიეს და დაიკავეს რკინიგზის კვანძი ნოვო-ბელიცა. მდინარე სოჟის მარცხენა ნაპირი გაწმენდილია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ამ ბრძოლებში 5 შენაერთის ნაწილებმა გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი გაყლეტეს. ხელო ვიგდეთ დავლა, მათ შორის 16 ქვემეხი და 4 საარტილერიო საწყობი. სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ და 32 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია 800 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ტაკი და 18 ქვემეხი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბნებზე ჩვენმა ჯარებმა შეტევა განავითარეს და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის ყამირგზების მნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა დასაყრდენი პუნქტი დობრომისლი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელო ვიგდეთ 19 ქვემეხი, 86 ტყვიამფრქვევი, 8 ნაღმსატყორცნი, 2 საწყობი საომარი მასალა; სურსათისა და სამხედრო ქონების საწყობები.

ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 40.000 მშვიდობიანი საბჭოთა მცხოვრები, რომელთაც გერმანელები ძალით მიერეკებოდნენ გერმანიაში ატორღულ სამუშაოზე.

საბჭოთა მფრინავებმა და მეზენიტეებმა დღის განმავლობაში გერმანელთა 39 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. იმ ნაწილის მფრინავმა-გამანადგურებლებმა, რომლის მეთაურიც არის გვარდიის პოდპოლკოვნიკი როდიონოვი, გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებში მტრის 18 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თვითონ კი არც ერთი მანქანა არ დაუკარგავთ.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ მოწინააღმდეგის ერთ-ერთ ნავსადგურს დაარტყა. თავდასხმის შედეგად ბომბის პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია 2.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი. ჩაძირულია აგრეთვე მოწინააღმდეგის 11 სადესანტო კარჭაპი და 1 კატერი. ნავსადგურში მდგარი ბევრი სხვა გემი სერიოზულად არის დაზიანებული.

* * *

პოლესიეს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი 3 ოქტომბერს თავს დაესხა გერმანელთა საჭურველსა და საომარი მასალების აღლს. თავდასხმა ჰიტლერელებისათვის მოულოდნელი აყო, და მათ მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს 50 ავტომატი, 74 შაშხანა და ვაზნებით დატვირთული 5 ურიდარი. პოლესიეს სხვა რაზმის პარტიზანებმა ერთი თვის განმავლობაში ნაღმებზე აფეთქეს გერმანელთა 96 ავტომანქანა და გაყლეტეს 200-მდე ჰიტლერელი. გარდა ამისა, პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი.

* * *

გომელის სამხრეთით წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანიის მეექვსე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ჯგუფი. ჩვენს მხარეზე გადმოსულმა ჰენრიხ ლ-მ განაცხადა: „აღმოსავლეთის ფრონტზე მე სულ ერთი დღე დავყავი. 7 ოქტომბერს საფრანგეთიდან ჩამოვედი, სადაც ვესახურობდი 334-ე ქვეითი დივიზიის 754-ე პოლკში, რომელიც სანაპიროს იცავდა ბორდოს რაიონში. უკანასკნელ თვეებში ჩვენი გარნიზონის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოგზავნეს რუსეთში. მარტო სექტემბერში დივიზიის პოლკებიდან 3 სამარშო ბატალიონი გამოიგზავნა; თითო ბატალიონში 1.000 კაცი იყო. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის არმიის დამარცხებანი დიდ შეშფოთებასა და შიშს იწვევენ საფრანგეთში მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა შორის. ჩვენი ასეულის მეთაურმა ერთ ოფიცერს როგორიც უთხრა: „გერმანიის არმიას უკვე აღარ შეუძლია ის აკეთოს, რაც მას სურს, და მხოლოდ იმას აკეთებს, რის გაკეთებასაც რუსები აიძულებენ. ყველაფრით სჩანს, რომ საქმე ჩვენთვის სამწუხარო დასასრულს უახლოვდებაო“.

* * *

იმ ხნის განმავლობაში, რაც გერმანელი ფაშისტი არამზადები სუმის ოლქის სოფელ ეიზოვში ბატონობდნენ, მათ მრავალი სრულიად უდანაშაულო მცხოვრები აწამეს და მოჰკლეს. მარტო 1943 წლის მარტის დამდეგს ჰიტლერელმა ჯათალებმა 140 კაცი საშინლად აწამეს და შემდეგ დახვრიტეს. ბევრი ქალი და კაცი ძალით წაიყვანეს გერმანიაში მონებად. უკანდახევის წინ ფაშისტმა მტარვალებმა სოფელი დაანგრიეს. მათ 580 საცხოვრებელი სახლი დაწვეს. მთელ სოფელში მხოლოდ რამდენიმე შენობა გადარჩა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბოგდან ხმელნიცკის I, II და III ხარისხის ორდენის დაწესების შესახებ

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა და მებრძოლთა, პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელთა და პარტიზანთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გერმანელი დამპყრობლებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს ბოგდან ხმელნიცკის I, II და III ხარისხის ორდენი.
2. დამტკიცდეს ბოგდან ხმელნიცკის I, II და III ხარისხის ორდენის სტატუტი და აღწერილობა.
3. მიენიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ბოგდან ხმელნიცკის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების უფლება ფრონტებისა და ფლოტების სარდლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 10 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და medali „**ოქროს ვარსკვლავი**“:

1. კაპიტან ნიკოლოზ ივანეს-ძე **აბრამჩუკს**
2. უფროს ლეიტენანტ ივანე ალექსანდრეს-ძე **ბარდანოვს**
3. უმცროს ლეიტენანტ ალექსი ნიკიტას-ძე **გაიდაშს**
4. უფროს ლეიტენანტ კუზმა დიმიტრის-ძე **გარკუშას**
5. ლეიტენანტ ანატოლი ალექსის-ძე **ელდიშევს**
6. მაიორ ვიქტორ სტეფანეს-ძე **კოშაროვს**
7. გვარდიის კაპიტან იაკორ პეტრეს-ძე **კოჩერგინს**
8. გვარდიის პოდპოლკოვნიკ ნესტორ დანიელის-ძე **მიზერნის**
9. გვარდიის უფროს სერჟანტ ნიკოლოზ საველის-ძე **მურავიოვს**
10. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **პოიარკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 9 ოქტომბერი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

პროფკავშირთა არულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა განიხილეს საავიაციო მრეწველობის მუშაკების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1943 წლის სექტემბერში და გადასწყვიტეს:

დარჩეთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეთ პირველი პრემიები:

ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. მ. მ. ლუკინი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ბელიანსკი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. აგაჯანოვი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ოკულოვი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ბალანდინი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. კომაროვი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. იარუნინი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ბელოვი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ლისიცინი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ფედინი.

გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პირველი პრემიები:

ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ტრეტიაკოვი;
ქარხანას, რომლის დირექტორიც არის ამხ. ლევინი, და ეს დროშა გადაეცეს იმ ქარხნიდან, რომლის დირექტორიც არის ამხ. კაზანსკი. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ბ-ნი დონალდ მ. ნელსონი

ა. წ. 9 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ა. შ. შტატების სამხედრო წარმოების საქმეთა სამართველის თავმჯდომარე ბ-ნი დონალდ მ. ნელსონი.

გზაში მოსკოვისაკენ ბ-ნი დონალდ მ. ნელსონი ცოტა ხნით გაჩერდა ქ. სტალინგრადში, სადაც დაათვალიერა გერმანელ ოკუპანტთა მიერ გამოწვეული ნგრევა, აგრეთვე ქალაქისა და ქარხნების აღსაგენი მუშაობა.

მოსკოვის აეროდრომზე ბ-ნ დონალდ მ. ნელსონს შეხვდნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე გენერალ-მაიორი ამხ. ი. ფ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის სამთავრობო შემსყიდველი კომისიის თავმჯდომარე ა. შ. შტატებში გენერალ-მაიორი ამხ. ა. ი. ბელიაევი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. მ. ი. სლადკოვსკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების ამერიკის სექტორის უფროსი ამხ. ჯ. ს. ალექსეევი, აგრეთვე ა. შ. შტატებას საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნ მ. ჰამილტონი და ამერიკის საელჩოს წევრები. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 11 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარებმა, რომელთაც დაიკავეს იაპონელთა ბაზა ვილა კუნძულ კოლომბანგარაზე (სოლომონის კუნძულები), აღმოაჩინეს იაპონელთა მიერ იქ მიტოვებული დიდძალი იარაღი და საჭურველი, მათ შორის ქვემეხები, საომარი მასალები და 10 დაზიანებული თვითმფრინავი.

ტოკიო, 11 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ სოლომონის კუნძულების სექტორში იაპონიის ჯარებმა დასტოვეს კუნძულები ველა ლაველა და კოლომბანგარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ-პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე — **პოლკოვნიკი ბ. ბ. ყურაშვილი**

წითელი არმიის გენერლებისათვის და ოფიცერთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოთ ქვემოდასახელებულ პირებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

არმიის გენერლის წოდება

ივანე ექვთიმეს-ძე **პეტროვს.**

გენერალ-პოლკოვნიკის წოდება

ანდრია ანტონის-ძე **გრეჩკოს**
კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **ლესელიძეს.**

გენერალ-ლეიტენანტის წოდება

ალექსი ალექსანდრეს-ძე **გრეჩკინს**
ივანე ანდრიას-ძე **ლასკინს**

გენერალ-მაიორის წოდება

ბენიამინ იაკობის-ძე **გორბაჩოვს**
მიხეილ ილიას-ძე **კოლდუბოვს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენებით წითელი არმიის გენერლების დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

არმიის გენერალი ივანე ექვთიმეს-ძე **პეტროვი.**

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით

1. საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორი ვლადიმერ ანტონის-ძე **ბაიუკოვი**
2. გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ანტონის-ძე **გრეჩკო**
3. გენერალ-ლეიტენანტი ალექსი ალექსანდრეს-ძე **გრეჩკინი**
4. გენერალ-ლეიტენანტი ივანე ანდრიას-ძე **ლასკინი**
5. გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **ლესელიძე.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 9 ოქტომბერი.

ოფიცერთა, სერჟანტთა და წითელარმიელთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და medლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **ვაშაკიძე** ნიკოლოზ დიმიტრის-ძე—უფროსი სერჟანტი
2. **გომელაური** მიხეილ გრიგოლის-ძე—ლეიტენანტი
3. **კვარაცხელია** უშანგი სოსლანის-ძე — ლეიტენანტი
4. **კვაჭაძე** ლავროსი ალექსანდრეს-ძე—უმცროსი ლეიტენანტი
5. **ლომიძე** ვლადიმერ სისოს-ძე — ლეიტენანტი
6. **ხარბედია** სამსონ მათეს-ძე — უმცროსი ლეიტენანტი
7. **ნიკორიძე** ავთანდილ პავლეს-ძე—ლეიტენანტი
8. **ნასყიდაშვილი** ალექსი დიმიტრის-ძე — ზემდგები
9. **არგუნაშვილი** შალვა მიხეილის-ძე—ზემდგები
10. **არაბიძე** ვარლამ ერმანოსის-ძე—ლეიტენანტი
11. **გულუა** იპოლიტე ივანეს-ძე—ლეიტენანტი
12. **ჯანჯღავა** ლავრენტი კოწიას-ძე—უფროსი სერჟანტი
13. **ჯაფარიძე** ვლადიმერ იოსების-ძე—უფროსი ლეიტენანტი
14. **ყორეოლაძე** აკაკი ბესარიონის-ძე ზემდგები
15. **ქავთარაძე** ივანე ნიკოლოზის-ძე—ლეიტენანტი
16. **კარბელაშვილი** მირიან პეტრეს-ძე—ზემდგები
17. **კინწურაშვილი** აკაკი გიორგის-ძე—კაპიტანი
18. **მურუსიძე** შალვა სოლომონის-ძე—უფროსი სერჟანტი
19. **სოფრომაძე** ვალერიან სერგოს-ძე—სერჟანტი
20. **ანტონიძე** შალვა კოსტას-ძე—სერჟანტი
21. **ალადაშვილი** მიხეილ ზაქროს-ძე—უფროსი ლეიტენანტი
22. **ბახტურიძე** მელიტონ ლეონტის-ძე—წითელარმიელი
23. **გორჯაძე** ალექსანდრე მიხეილის-ძე — წითელარმიელი
24. **გახარია** კაპიტონ ილიას-ძე—სერჟანტი
25. **გორთველაშვილი** ალექსანდრე დავითის-ძე—სერჟანტი
26. **ყაველაძე** აგაბო სოკრატის-ძე—ლეიტენანტი
27. **მჭედლიძე** ისაკო სპირიდონის-ძე—უფროსი სერჟან

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

დნეპრის შუაწელის ზოლში ჩვენი ჯარები, იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად მდინარის მარჯვენა ნაპირზე წინანდელ რაიონებში.

გომელის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი დობრუში, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები—რუდნია, მარინოო, ჩისტაია ლეუა, ბოლოვინცი, ლარიშჩევო, კლიმოვკა და რკინიგზის სადგურები—ლარიშჩევო, კოკრინევკა.

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 6-დან 12 კილომეტრამდე და დაიკავეს 140-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: დიდი დასახლებული პუნქტები—იანოვიჩი, ზაგოლოდნო, შერკინო, უნა, იანკოვიჩი, ბოლშაია და მალაია ბერეზინა, გორბოვო, კრასნოე, გოლოშკოვო, სნიგირი და რკინიგზის სადგური კრასნოე.

ნეველის რაიონში ჩვენი ჯარები, სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

9 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 64 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 58 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად. ერთ რაიონში 6 შეიარაღების მებრძოლებმა, წარმატებით იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის დიდი ძალების კონტრიერიშებს, მოსპეს მტრის 27 ტანკი და 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს მაღლობი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მაღლობისათვის ბრძოლაში მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონზედ მეტი ქვეითი ჯარი და 9 ტანკი. 6 შეიარაღის ტანკისტთა ჯგუფმა განდევნა გერმანელები ერთი დასახლებული პუნქტიდან. მოწინააღმდეგემ სცადა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები და ზედიზედ რვა კონტრიერიში მოიტანა. ჩვენმა ტანკისტებმა მოიგერიეს ყველა კონტრიერიში და მოსპეს რამდენიმე ასეული ჰიტლერელი.

ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს 19 თვითმფრინავი.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს, დაიკავეს ქალაქი დობრუში და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად იძულებული იყო უკან დაეხია. მარტო ერთ უბანზე გერმანელებმა დასტოვეს თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 600-ზე მეტი გვამი. წამოღებულია დავლა, რომელშიც არის 14 ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ხელში ჩაიგდეს საწყობები საომარ მასალებიანად და სამხედრო ქონებიანად.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 140-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მტერი ძლიერი საარტილერიო-სანაღმტყორცნო ცეცხლით და კონტრიერიშებით წინააღმდეგობას უწევდა ჩვენი ჯარების შეტევას. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიშები და წინ წაიწიეს 12 კილომეტრით. სხვა უბანზე 6 შეიარაღის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ბრძოლების შედეგად მოსპობილია 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 4 ტანკი, 11 ქვემეხი და 60-ზე მეტი ტყვიამფრქვევი.

ჩვენი მოიერიშე ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებს და მოსპო 70-ზე მეტი ავტომანქანა, ააფეთქა საომარი მასალების 2 საწყობი, 11 სანაღმმტყორცნო და საარტილერიო ბატარეა. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 33 თვითმფრინავი.

* * *

ნეველის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს. გერმანელებმა თავი მოუყარეს რეზერვებს და ბრძოლაში აბამენ ქვეითი ჯარის დიდ ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ტანკებისა და თვითმავალი არტილერიის დახმარებით. 6 შეიარაღის ნაწილებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ, დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ამ ბრძოლებში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები. რკინიგზის ერთი სადგურის და მის მომიჯნავე დასახლებული პუნქტის რაიონში ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის უდიდესი საწყობები.

* * *

კიევის ოლქის დნეპრისპირა რაიონებში მოქმედმა უკრაინელთა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ბრძოლით დაიკავა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. საბჭოთა პატრიოტებმა მოაწყეს ირგვლივი თავდაცვა და მოიგერიეს მოწინააღმდეგის რიცხობრივად ჭარბი ძალების რამდენიმე გაალფთრებული იერიში. მოსპობილია 400-მდე ჰიტლერელი.

* * *

გერმანელთა 50-ე ქვეითი დივიზიის 123-ე ქვეითი პოლკის შტაბის დავალებათა ოფიცერმა გიუნტერ კოლმანმა, რომელიც ტყვედ იქნა წამოყვანილი ტამანის ნახევარკუნძულზე, განაცხადა: „გერმანელთა სარდლობის ყველა ბრძანებაში, რომლებიც კი ნაწილებს გამოეგზავნათ ივლისსა და აგვისტოს განმავლობაში, ხაზგასმით იყო აღნიშნული ყუბანის ხიდწინა სიმაგრის უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა გერმანიის არმიისათვის. როგორც ჯარისკაცები, ისე ბევრი ოფიცერი ტამანზე გერმანელთა ჯარების მდგომარეობას უმიმედოდ სთვლიდნენ და აღსასრულს ელოდნენ. მაგრამ სარდლობა სხვა თვალსაზრისს ადგა. აგვისტოში და სექტემბერშიც კი ტამანზე მოჰქონდათ საჭურველი, საომარი მასალები და სურსათი. გაძლიერებით ავსებდნენ საწყობებს, ჰქმნიდნენ მარაგს არა მარტო შემოდგომის უგზოობის პერიოდისათვის, არამედ ზამთრისთვისაც. რუსებმა გერმანელთა სარდლობის ყველა ვარაუდი და გეგმა გააცამტვერეს“.

* * *

მცხოვრებლებმა გომელის ოლქის სოფელ ნოსოვიჩისამ, რომელიც განთავისუფლებულია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან, შეადგინეს აქტი ჰიტლერელი არამზადების მხეცობათა შესახებ. აქტში ნათქვამია: „წოფელი არმიის მძიმეების შედეგად უკანდახევისას გერმანელებმა დაიტაცეს და მოსპეს მრავალი წლის შრომით დაგროვებული მთელი ჩვენი ქონება. რის თან წაღება არ შეიძლებოდა, გერმანელებმა დასწვეს. 25 სექტემბერს ღამით „მეჩირაღდნეთა“ სპეციალური რაზმი სოფელში დადიოდა და ზედიზედ სწვავდა სახლებს. ცეცხლით მოსპობილი ასობით სახლი, სკოლები, აფთიაქი, საავადმყოფო, ფოსტის შენობა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა სამეურნეო ნაგებობა. ფაშისტმა კაციჭამიებმა ფარდულში შერეკეს და ცოცხლად დასწვეს მცხოვრებთა დიდი ჯგუფი. ნახანძრალში აღმოჩენილ და გამოცნობილ იქნა გვამები: 65 წლის ფილიმონ სიმანენკოსი, 50 წლის გიორგი შესტოპალოვისა, 35 წლის ვასილ სტუპაკოვისა, 58 წლის ტიხონ სიჩოვისა, 17 წლის პავლე ჩუიასოვისა და სხვებისა. ჰიტლერელებმა დახვრიტეს ბევრი მოქალაქე, რომლებმაც უარი განაცხადეს ევაკუირებულიყვნენ გერმანელებთან ერთად“.

საბჭოთა კავშირში

მიმდინარეობს ორიოლის აღდგენა

სულ ახლახანს ორიოლის ფართო ქუჩები დახერგილი იყო ღორღით, ხის ნამტვრევებით, დახლართული მავთულებით. გავლაც კი არ შეიძლებოდა. ახლა ეს უკან არის მოტოვებული. ნამტვრევებისა და ნაგვისაგან გაწმენდილ ქუჩებს, პროსპექტებსა და სკვერებს ყოველ დილა ასუფთავებენ მეეზოვეები.

ქალაქში უკვე მუშაობს ადგილობრივი მრეწველობისა და არტელების 26 საწარმო. შეკეთებულია ათობით საცხოვრებელი სახლი, გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს მზადება ტრამვაის, წყალსადენისა და ელექტროსადგურის ასამუშავებლად. ათობით სკოლაში დაიწყო სასწავლო წელი. 7.000 ორიოლელი ბავშვი პარტებს მიუჯდა და სწავლას განაგრძობს. საქარხნო რაიონის მცხოვრებთა ინიციატივით ორიოლში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე აღადგინონ ქალაქის მეურნეობა.

(საკდესი).

საკ. ალკ XXV წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის დარბაზებში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავისადმი.

წარმოდგენილია 300-ზე მეტი ნამუშევარი—ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. ისინი სხვადასხვაგვარია თემატიკის შინაარსის მხრივ და იმის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენენ, რომ საბჭოთა მხატვრების ახალგაზრდა თაობა ძველ სახელოვან ოსტატთა ტრადიციებს მისდევს და მაღალი იდეური შინაარსის ნაწარმოებებს ჰქმნის ომის დღეებში. გამოფენაზე წარმოდგენილია დიადი ბრძოლის ეპიზოდები, გერმანელ დამპყრობთა მიერ მიყენებული ნგრევისა და ჰიტლერელთა მხეცობის სურათები, სამამულო ომის გმირების პორტრეტები (საკდესი). 11 ოქტომბერი.

დეპეშები

ჩერჩილისა და რუზველტის ერთობლივი განცხადება სექტემბერში წარმოებული წყალქვეშა ომის შედეგების შესახებ

ლონდონი, 10 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გამოქვეყნებულია პრემიერ-მინისტრ ჩერჩილისა და პრეზიდენტ რუზველტის ერთობლივი განცხადება სექტემბერში წარმოებული წყალქვეშა ომის შედეგების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია: „სექტემბრის მესამე კვირამდე მოკავშირეთა არც ერთი საჰაერო გემი არა ყოფილა ჩაძირული გერმანიის წყალქვეშა ნავების თავდასხმის შედეგად. შემდეგ 19 სექტემბერს წყალქვეშა ნავებმა ბოლო მოუღეს ამ სიწყნარეს, რომელიც ოთხ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკაში. გერმანელთა სულ ცოტა 15 წყალქვეშა ნავისაგან შემდგარი რაზმი თავს დაესხა გემთა ქარავანს, რომელიც დასავლეთისაკენ მიემართებოდა. ბრძოლა ოთხნახევარ დღეს გაგრძელდა. თავის დროზე უკვე ვიუწყებოდით ესკორტის სამი ხომალდის დაკარგვის შესახებ. საჰაერო გემთა მცირე რაოდენობა ჩაძირულ იქნა, მაგრამ ენერგიული წინააღმდეგობის შედეგად, რაც წყალზედა ხომალდებმა გასწიეს ავიაციის დახმარებით, ჩაძირულ ან დაზიანებულ იქნა გერმანიის წყალქვეშა ნავების დიდი რაოდენობა. იმის მიუხედავად, რომ სექტემბერში თავი იჩინა გერმანიის წყალქვეშა ნავების აქტიურობის ზრდამ, სექტემბერსა და აგვისტოში დაკარგული საჰაერო გემების საშუალო ციფრი ყველაზე უფრო მცირეა ომის მთელი ხნის განმავლობაში.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგემ განაახლა იერიშები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა წყალქვეშა ნავების ჯგუფი, იმას მოწმობს, რომ მოწინააღმდეგეს განზრახული აქვს ყველაფერი გააკეთოს, რაც კი მის ხელთ არის, რათა თავის სასარგებლოდ შესცვალოს მდგომარეობა. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ და მთელი ჩვენი სიფხიზლე უნდა დავძაბოთ, სანამ საფრთხე საბოლოოდ არ იქნება აცილებული“.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 11 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები წინსვლას განაგრძობენ და დაიკავეს 7 ქალაქი, მათ შორის ლარინო, სან-მარკო და პონტე. ტერმოლის რაიონში სწარმოებს ხიდწინა სიმაგრეების გაფართოება.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 11 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის „მფრინავი სიმაგრის“ ტიპის ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა შორს შეაღწიეს გერმანიის შიდა რაიონებში და იერიში მიიტანეს ანკლამის თვითმფრინავთა დეტალების დამამზადებელ ქარხანაზე და მარიენბურგის თვითმფრინავთა ამწყობ ქარხანაზე (აღმოსავლეთ პრუსია). პირველი ქარხანა ძალიან არის დაზიანებული, მეორე—დანგრეულია.

9 ოქტომბერს ღამით თავდასხმა მოხდა ბერლინზე.

10 ოქტომბერს „მფრინავი სიმაგრის“ ტიპის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ მიუნსტერს და იერიში მიიტანეს ამ რაიონში კესელის რკინიგზის კვანძზე. მტერმა გააფთრებული წინააღმდეგობა გასწია. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 102 თვითმფრინავი. თავის ბაზებში არ დაბრუნებულა ინგლისის 32 თვითმფრინავი.

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ სექტემბერში მოწინააღმდეგის ობიექტებზე ჩამოყრილ იქნა 15.989 ტონა ბომბი, 3.055 ტონით მეტი, ვიდრე აგვისტოში.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის მე-8 საავიაციო კორპუსის სარდალმა გენერალმა იკერმა განაცხადა, რომ 8 და 9 ოქტომბერს გერმანიას თავს დაესხნენ საჰაერო ძალები, რომელთა ეკიპაჟების საერთო რაოდენობა 4.000 კაცს აღემატებოდა.

ამ კორპუსის ბომბდამშენებმა ოქტომბერში გერმანიაში ჩამოჰყარეს 4.400 ტონაზე მეტი ბომბი და გერმანელთა 450 ავიაგამანადგურებელი მოსპეს.

ჰიტლერელთა სამხედრო სიძნელენი ჩრდილოეთ იტალიაში

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ჩრდილოეთ იტალიაში 4.000-ზე მეტმა იტალიელმა ალპიელმა მსროლელმა ჰიტლერელები განდევნა 100 კვადრატულ მილზე მეტი ტერიტორიიდან. მილანის რაიონში გერმანელებმა ხელი აიღეს ყოველგვარ ცდაზე შეენარჩუნებინათ რკინიგზის მიმისეა და აქ მარტო სატვირთო ავტომტრანსპორტით სარგებლობენ.

სამი „სასურსათო კონფლიქტიორის“ მკვლელობა გერმანიაში

სტოკჰოლმი, 10 ოქტომბერი (საკდესი). შვედური გაზეთი „აფტონტიდნინგენი“ იუწყება, რომ, ბერლინში მიღებული ცნობებით, ამ დღეებში მთლიანად ბლოკირებული იყო ერფურტისა და ვაიმარის რაიონები (გერმანია). ეს გამოწვეული იყო სამი ჰიტლერელი „სასურსათო კონტროლიორის“ მკვლელობით, რომლებიც დადიოდნენ აღნიშნული რაიონების სოფლებში, რათა მოეხდინათ გლეხთა კუთვნილი პირუტყვის, რძის, კვერკცხლა და სხვა სასურსათო პროდუქტების „რეგისტრაცია“. ფიქრობენ,—სწერს გაზეთი, — რომ ეს კონტროლიორები გლეხებმა მოჰკლეს.

ფრანგი ხალხის ბრძოლა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ

ჟენევა, 10 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცარული გაზეთი „გაზეთ დე ლოზანი“ სწერს, რომ ძლიერდება ფრანგი ხალხის წინააღმდეგობა ჰიტლერელი დამპყრობლებისადმი. გაზეთი იუწყება, რომ თავდასხმები გერმანელებზე, საბოტაჟისა და დივერსიის აქტები საფრანგეთში სულ უფრო და უფრო ხშირდება. ცენტრალურ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ საფრანგეთის მთელ რიგ რაიონებში მატარებლები ლიანდაგის გაფუჭების გამო დღითა-დღე დიდი დაგვიანებით დადის. ზოგჯერ საკვანძო სადგურებით მიმოსვლა წყდება ამ სადგურების მახლობლად ჩადენილი დივერსიების გამო.

ლავალის ხელისუფლებმა ცენტრალური საფრანგეთის მთელ რიგ რაიონებში ვერ მოახერხეს ჩამოერთმიათ სოფელში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობა, რადგან სოფლების მოსახლეობა ყოველგვარ სიძნელეს უქმნის პროდუქტების ჩამომრთმევ მოხელეებს. ცეცხლს უკიდებენ იმ პირთა ფერმებს და სახლებს, რომლებიც რამენაირად ხელს უწყობენ რეკვიზიციების გატარებას.

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო მადრიდიდან იუწყება, არალეგალურმა პატრიოტულმა ორგანიზაციებმა ოვერნის მთებში იმდენად აქტიური მუშაობა გააჩაღეს, რომ ვიშის „მთავრობა“ იძულებული იყო 8 შველ პოლიციელთა ძალები გაეგზავნა ამ რაიონში. ამ ცოტა ხნის წინათ პარტიზანებმა გაანადგურეს დამსჯელი რაზმი და მძიმე ზარალი მიაყენეს ლავალელ დამსჯელებს.

უცხოეთის ქრონიკა

სექტემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოუშვეს 7.600 თვითმფრინავი, ესე იგი პროგრამით დასახულზე ნაკლები. სამხედრო წრეების განცხადებით, თვითმფრინავთა წარმოების შემცირება გამოწვეული იყო მთელი რიგი მანქანების კონსტრუქციების შეცვლით.

ნისკარისა და ორდუს რაიონებში (ჩრდილოეთ თურქეთი) ძლიერი მიწისძვრა მოხდა. დანგრეულია ბევრი სახლი. არის ადამიანთა მსხვერპლი (საკდესი).

11 ოქტომბერი.

მოქმედი არმია (ნოვოროსიისკის ჩრდილო-დასავლეთით). პოლკოვნიკ შურენკოვის გვარდიის ნოვოროსიისკის მე-5 სატანკო ბრიგადის ტანკისტები ებრძვიან მტერს.

ფოტო მ. ალპერტისა და ე. ხალდეისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ფართოდ გავაჩაღოთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფლში

უდანაკარგოდ ავიღოთ ციტრუსოვანთა მოსავალი

გალი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ლიმმანტრესტის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა მეურნეობაა არა მარტო გალის რაიონში, არამედ მთელ აფხაზეთში. წელს აქ ციტრუსების და სხვა ძვირფას მცენარეთა უხვ და მაღალ მოსავალს მოელიან, ქვეყანასა და ფრონტს მისცემენ 12 მილიონ ცალ მანდარინს და, გარდა ამისა, დიდძალი რაოდენობით გრეიპფრუტს, ფორთოხალს, ხურმას, ფეიხოას და ტუნგოს. ამჟამად მეურნეობა იბრძვის, რათა წარმატებით მოემზადოს კრეფისათვის—შეაგროვოს და მოამზადოს მუშახელი, მოამზადოს ტარა და ხელსაწყო-იარაღები: ყუთები, მაკრატლები, ჩანთები და სხვ. ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის მეურნეობას უნდა ეპნეს მანდარინებისათვის 70.000 ცალი ყუთი და 55 ცალი ჩანთა, (ჩანთებში ჩაკრეფილი მანდარინი ნაკლებად ზიანდება, ვიდრე კალათში ჩაკრეფილი, უკეთ იტანს ტრანსპორტს, დიდხანს ინახება). ჩანთებით მეურნეობის მომარაგება დავალებული აქვს აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს („აბსოიუზს“), მაგრამ მას ჯერჯერობით ამ მხრივ გადამჭრელი ზომები არ მიუღია.

კოხორის მანდარინი საუკეთესოდ იტანს შორ მანძილზე გადაზიდვას. ამ მეურნეობიდან მანდარინი იგზავნება საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში, მაგრამ წელს ეს საქმე შეიძლება დაბრკოლდეს, თუ სატრანსპორტო უყუთები დროულად არ მოიმარაგეს. მართალია, კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა (დირექტორი აბზ. დ. ფაილოძე) კარგი და მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს, საკუთარი საშუალებებით აკეთეს 30.000 ცალი ყუთი, მაგრამ დანარჩენი 40.000 ცალი ყუთით მეურნეობას მიმართავს „აბსოიუზს“ აქვს დავალებული. ამასთან მეურნეობაში დიდი ზრუნვითი ღონისძიებაა. წითელი არმიის ბრძოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ეკისრებათ ციტრუსოვანთა ფხვიერ მოსავლის უდანაკარგოდ აღებასა და ზამთრისათვის ეფექტიანი ინფიციებისგან დაცვის სანიმუშოდ მოწყობაში. საბჭოთა მეურნეობის აგრორაიონებიდან ვალდებულებათა შესრულებაში ყველაზე მეტად დაფნიაურდა მეორე აგრორაიონი, რომელსაც აგრონომი ბ. ჯანაგულაძე ხელმძღვანელობს. პლანტაციებში ენერგიულად მუშაობენ აბზ. გ. კულიკოვი, დ. კარნიუკი, დ. ჩაპკო, ა. ჩერკაშენკო და სხვ. რომლებმაც მეურნეობაში საუკეთესო, მოწინავე ადამიანთა სახელი დაიმსახურეს. კარგად მუშაობს მეოთხე აგრორაიონიც (უფროსი—აგრონომი პ. მარიანსკი). ამ რაიონის პლანტაციებში სტახანოვურად შრომობენ ფრონტელთა ცოლები აბზ. კ. პუზენკოვა, ე. ნადიკტა, ლ. ლიუდნოვა და სხვ., რომლებიც ვეგმებს სისტემატურად 200-250 პროცენტით ასრულებენ.

კოხორის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ლიმმანტრესტის მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობასთან (ქობულეთის რაიონი). კოხორელებს გადაწყვეტილი აქვთ ისე მოაწყონ საქმე, რომ პირველობა არავის დაუთმონ.

დ. ლომთათაძე

რაჯომ ურიგდებიან ფრაქტორების ხშირად მოცდენას

თიანეთი („კომუნისტის“ კორ.). რაიონში გასულ წელთან შედარებით წელს საშემოდგომო ხვნა-თესვა გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს. 5 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურები დათესილი იყო გეგმის 60,1 პროცენტი. ხვნა-თესვაში სერიოზული წარმატებანი მოიპოვა სოფ. ნაქალაქრის კოჭლამაზაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ზ. კოკოზაშვილი). 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობაში 260 ჰექტარიდან მოხნული იყო 212 ჰექტარი, დათესილი—200 ჰექტარი. ხვნაზე ყოველდღიურად 14 გუთანი მუშაობს.

სოფ. ალოტის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. დაიაური), რომელმაც ვადაზე ადრე აიღო მოსავალი, მთლიანად შეასრულა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და პირნათლად შეასრულა სახელმწიფო ვალდებულებანი, ხვნა-თესვაშიც წინ მიდის. სოფ. გორანის ტიმოშენკოს სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. იდუკაშვილი), რომელმაც რაიონში პირველმა დაამთავრა მოსავალის აღება და ლეწვა, გმირი წითელი არმიის წარმატებებს მძლავრი შრომითი აღმავლობით უპასუხა. კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ფარეშიშვილი) 25 სექტემბრისათვის შეასრულა ბრიგადისათვის მიცემული გეგმა, დასთესა 39 ჰექტარი. ახლა აბზ. ფარეშიშვილის ბრიგადა სხვა ბრიგადებს ეხმარება გეგმების შესრულებაში.

მოწინავენი არიან სოფ. გუდანელების ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ჭინჭარაული), სოფ. ლიშის კოლმეურნეობა „ფშავის იმედი“ (თავმჯდომარე მ. ნიბლოშვილი), სოფ. ალაჭნის კოლმეურნეობა „მტკიცე ნაბიჯი“ (თავმჯდომარე პ. მგელიაშვილი), სოფ. ჩეკურიანთგორის კოლმეურნეობა „მებრძოლი“ (თავმჯდომარე ს. სამოკაშვილი) და სხვა.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს ხვნა-თესვა. ჩამორჩნენ სოფ. სიმონიანთხეთის ალექსანდრეიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ლეკვერაშვილი), სოფ. თოლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. ზარიძე), სოფ. საყდრიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ბურდული), ხევსურთსოფლის კოლმეურნეობა „ჯეჯილი“ (თავმჯდომარე კენკიშვილი).

ზოგან ყურადღება არ ექცევა ხვნის ხარისხს. მაგალითად, თემერაანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა ტოლიკუტრმა 9 ჰექტარი მოხნა 5-13 სანტიმეტრის სიღრმეზე, ნაცვლად 18-20 სანტიმეტრისა. ამისათვის კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარე ამბ. გ. სინჯარაძე სათანადოდ დაისაჯა. მტს.-ის სტრატორო ბრიგადირმა ლ. ფხალაძე და ტრაქტორისტი ტოლიკუტრი მიცემული არიან პასუხისგებაში.

თიანეთის მტს.-ი (დირექტორი შ. ბებურიშვილი) არასაკმაო ოპერატიულობით მუშაობს საშემოდგომო თესვაზე. მტს.-ის მუშაკები მტკიცედ არ იცავენ აგროტექნიკურ დონისძიებებს. ტრაქტორები ზოგჯერ უქმად დგანან საწვავ-საცხები მასალისა და ნაწილების უქონლობის გამო. სოფ. ეუბოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორი სამი დღე გამცდარი იყო უხარისხო რემონტის გამო. ასეთი ფაქტები სხვა კოლმეურნეობებშიც არის.

ი. ბეშანიშვილი

წალენჯიხელ კოლმეურნეთა ნარმავება

წალენჯიხა („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად წალენჯიხის კოლმეურნეობებმა შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს. სოციშეჯიბრების შემაჯამებელმა რაიონულმა კომისიამ 1943 წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მუშაობის საფუძველზე პარტარაკიმისა და რაისაბჭოს აღმასკომის წლიური გარდამავალი დროშის მიღების კანდიდატებად სცნო: სოფ. ჯგალის კვარაცხელიას სახელობის (თავმჯდომარე მ. კვარაცხელია), ფახულანის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ა. ჭითანავა), ჯვარის კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე ა. ჭანტარია), ფახულანის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ლ. გოგოხია), წალენჯიხის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ა. კალანდია), ფახულანის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე კ. ხასაია), ჯგალის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ლ. კვარაცხელია) და ფახულაწის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე ა. გუჩუა) კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებს ვადამდე და მაღალხარისხოვად აქვთ შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები, განაღდებული აქვთ სახელმწიფო ვალდებულებანი.

იმ დღეებში წალენჯიხაში ჩატარდა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება, რომელზეც შეჯამებულ იქნა წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები. შეკრებამ მიიღო მიმართვა რაიონის ყველა კოლმეურნისა, საბჭოთა მეურნეობის მუშაკისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი. წლის მეორე ნახევარში მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებისა და სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის, უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

ვ. გელქანია

მახარაძის რაიონმა ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

მახარაძის რაიონმა ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1943 წლის გეგმა. 9 ოქტომბრისათვის მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული იყო 13.331.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. წლიური გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

ხაკ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ვ. სიხარულიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. დოლიძე

გეგმების შესრულება

თელავი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). თელავის რაიონმა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა დაწესებულ ვადაზე ადრე შეასრულა. მსხვილფეხა საქონლის განვითარების გეგმა შესრულებულია 100,7 პროცენტით ცხვრისა—104 პროცენტით. კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით 230 მსხვილფეხა საქონელი შეისყიდეს და 950 სული დაკონტრაქტეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 457 სულისა.

რაიონმა პირველი და მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სახელმწიფოს ჩაბარდა 62.800 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 61.240 კილოგრამისა. ქრისტაურელმა მეაბრეშუმემ ნუშო დურგლიშვილმა 9 გრამი მურიდან სახელმწიფოს ჩააბარა 47 კილოგრამი პარკი, ნაცვლად 23 კილოგრამისა. სოფ. კონდოლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეთა მეხუთე რგოლმა (ხელმძღვანელი მალუცა ჩიბანაშვილი) დავალება 184,6 პროცენტით შეასრულა. 30 გრამი გრენიდან სახელმწიფოს ჩაბარა 131 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. ამჟამად მიმდინარეობს აბრეშუმის ჭიის მესამე გამოკვება.

ს. ძოწილაძე.

ᲙᲐᲐᲢᲐ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ

სიმინდის ზღვა

მდინარე რიონის დაბლობის მასივში ფიჩორსა და ნარიონალს შორის, კეთილარის ტ.ემს ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმულია ოდნავ დაქანებული ველი ანჯელი, რომლის უდიდესი ნაწილი წინათ დაჭაობებული იყო და მალარიის ბუდეს წარმოადგენდა. კოლხიდმშენის არხებით დაიწყო ამ მიდამოების დამყაყებული ადგილების დაშრობა და საშნაგი მინდვრებად გადაქცევა.

დიდიასნჯელიდან მოყოლებული ოდესღაც ნასოფლარ ადგილებზე — ნახაჯე, ნამაკანე, ნაჭილაუ, მოქვირი, საკისო, ჩეჩონა, თხინა, სამარღანო, ბოგორონი და ა. შ.—მოსრახ

სახელი და დიდება წითელი არმიის გმირ მეომრებს!

განთავისუფლებულ ნოვოროსიისკში. სურათზე: გერმანელების მიერ დანგრეული ცემენტის ქარხანა „პროლეტარი“.

ფოტო მ. ალპერტისა და ე. ხალდეისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

გალაკტიონ ტაბიძე

გენერალი ლესელიძე

დაჰფარა ლესელიძისა ხმამ ადგილები მთიანი:
„ჩვენს მიწა-წყალზე დუშმანი ვერ გაიხარებს, გვიანი!“
ეკვეთა ურდოს ლომებრივ, ძვრით ნახტომ-ანაზდიანი
სამშობლოსათვის დევ-გმირთა რისხვა ქარიშხალფრთიანი
კავკასიონის კლდეებზე სდგას ლესელიძე მზიანი,
თავდადებული მებრძოლი, ომში არალერსიანი.
განა მოითმენს—კავკასზე მტერი მოვარდეს ხმიანი?
მტერს აქ არ შეხვდეს მახვილი, მკაცრი და განგებიანი?
მტერმა მთას თავისუფალსა ვერ მიაყენა ზიანი,
მშვენიერია ყაზბეგი, ლაღი და ოცნებიანი!
ნოვოროსიისკ-ტამანი ზღვისპირეთია კლდიანი,
ჩვენი ქართველი გენერლის არეა ნათელ-გზიანი.
დაჰფაროს ლესელიძისა ხმამ ყოველი ხმა მტრიანი:
„ჩვენს მიწა-წყალზე დუშმანი ვერ გაიხარებს, გვიანი“.

გაღმისაკენ

მოქმედი არმია, 10 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დნეპრის-პირაგზებზე დაუსრულებელ ნაკადად მიიწევს წინ შეტევა. უდიდესი სისწრაფით მიჰქრიან ტანკები, თვითმავალი ქვემეხები, მოტოქვეითი ჯარით დატვირთული ავტომანქანები. გზის ნაპირებზე მტვერში გახვეული აღალები და საზიდრები მიიწევენ. „დნეპრის გადასასვლელებისაკენ“ — უჩვენებენ გზაჯვარედინებზე დადგმული მაჩვენებლები.

მარცხენა ნაპირზე ლერწამია მოდებული. თეთრად მოსჩანს ქვიშა. ქარი ზედიზედ მოერეკება ტალღებს. წინ მაღალფლატეებია-ნი, გამოქვაბულებით დათხრილი, ბუჩქნარით დაფარული ნაპირია. მდინარის სხვადასხვა ადგილას ბორნები, ნავები, პონტონები და ტივები მოსჩანს. მდინარის გადალახვისას მებრძოლები იჩენენ არა მარტო განსაკუთრებულ მამაცობას, არამედ დიდ მოსაზრებულობასაც.

მებრძოლები დასავლეთ ნაპირისაკენ მიიწევენ. იქ უკვე ცხარე ბრძოლას ეწევიან მტერთან ბედნიერნი, რომელთაც პირველებმა შესდგეს ფეხი დნეპრის მარჯვენა მხარეს მდებარე უკრაინაში, და დნეპრიდან ერეკებიან გერმანელებს. მოუთმენელი წითელარმიელები ცურვით გადიან მდინარეში ოფიცრების ნებართვით. ადვილი საქმე როდია გაუფუყვეტელ სროლაში, მტრის ბომბების ცეცხლქვეშ დნეპრში გასვლა, გაღმა ნაპირზე აფოფხება და ბრძოლით გზის გაკაფვა. მაგრამ სიძნელეები გამარჯვების ნებისყოფას აწრთობენ მხოლოდ.

სწრაფად მოჰქრიან გერმანელთა მძიმე უუმბარები. ზუზუნებენ ნაღმები, მტრის ათობით ბომბი ერთდროულად ფეთქდება და, ასე გგონია, დედამიწა ზანზარებსო. ჰაერშიც ისეთივე ბრძოლაა, როგორიც მიწაზე. ერთ-ერთ გადასასვლელზე, იერიში მოიტანა ფაშისტთა 109 თვითმფრინავმა. მათ გზა გადაუჭრეს ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა. 8 „იუნკერსი“ ზედიზედ ქვასავით ჩავარდა დნეპრში, აალაფა წყალი და ჩაიძირა.

გმირი მესანგრეები მტრის განუწყვეტელ ცეცხლქვეშ აუმჯობესებენ არსებულ გადასასვლელებს და ახალ გადასასვლელებს აგებენ. ამ გადასასვლელებით უკვე ბევრი ჩვენი ტანკი, ქვემეხი, მანქანა და სხვა ტექნიკა გავიდა გაღმა. დასავლეთ ნაპირთან სატელეფონო კავშირია დამყარებული.

დნეპრის ნაპირებზე ტანკისტებისა და პარტიზანების გულისამაჩუყებელი შეხვედრა მოხდა. პარტიზანებმა იცოდნენ, რომ ჩვენი ჯარები დნეპრისაკენ მიდიან, და თავიანთი დარტყმის მთელი ძალა მტრის ზურგისაკენ მიმართეს. ისინი თავს დაესხნენ გერმანელ მესანგრეებს, რომელნიც სიმაგრეებს აგებდნენ დასავლეთ ნაპირზე. როცა ფაშისტებმა დნეპრისპირა სოფლების ევაკუაცია მოახდინეს და პურით დატვირთული კარავანების გაღმა გაზიდვა დაიწყეს, პარტიზანებმა გერმანელთა მცველი რაზმი გაელიტეს და კარავანები ჩასძირეს. სახალხო შურისმგებლებმა მტერზე ერთ-ერთი გაბედული თავდასხმით ოკუპანტებს წაართვეს 1.000-ზე მეტი სული საქონელი, რომელიც გერმანიაში გასაგზავნად იყო გამზადებული.

— ჩვენო ძვირფასნო, როგორც იყო, ვეღირსეთ თქვენს მოსვლას!—ეუბნებოდნენ მებრძოლთ პარტიზანები და ეხვეოდნენ. იჩქარეთ გაღმა ნაპირისაკენ. ჩვენ დაგეხმარებით.

მდინარის გადალახვა საღამოს დავიწყეთ. ნაპირზე იწვნენ გვარდიის უფროს. ლეიტენანტ ანდრიან პიშჩულინის მოტომსროლელი ბატალიონის მებრძოლნი, ოთხელიც ბუჩქებით ინიღბებოდნენ.

ნაპირზე მყოფნი ყველანი გამსჭვალული იყვნენ მომენტის სიდიადით. შიშის ნასახიც კი არ გაჭკარებია არც ერთის გულს. ნაწილის მეთაურმა ბრძანა ჯერ მზვერავები გაეგზავნათ, ხოლო შემდეგ, როცა მტრის თავდაცვა გამოკვლეული იქნებოდა, ყველა მებრძოლის გადაყვანა დაიწყოთ. პიშჩულინმა მოხალისეები გამოიწვია, მაგრამ ყველას უნდოდა პირველობა, და გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ყველაზე მამაცები შეარჩია. ამ მამაცთა ჯგუფს შეადგენდა 4 მეგობარი, 4 კომკავშირელი: ვოლგელი ნიკოლოზ პეტუხოვი, სტალინგრადელი ივანე სემიონოვი და კიროვის ოლქიდან მოსულნი—ვასილ სისოლიატინი და ვასილ ივანოვი.

მებრძოლნი ძველ ნავში ჩასხდნენ და ნაპირიდან გასცურეს. როდესაც ნაპირამდე რამდენიმე ათეული მეტრი დარჩა, მზვერავებმა ნავი დასტოვეს და ცურვით მიაღწიეს ბუჩქნარს. ისინი მიწას გაეკრნენ. ირგვლივ სიწყნარე იყო. გერმანელებმა ვერ შენიშნეს უშიშარნი. წარმატება დამოკიდებული იყო იმაზე, რომ სწრაფად მისულიყვნენ ახლო მოწინააღმდეგესთან და მოულოდნელად მიეტანათ იერიში; ეს კარგად ესმოდათ მზვერავებს. ისინი სოფელთან მიხოხდნენ, ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს და მოულოდნელად სხვადასხვა მიმართულებიდან აუტეხეს ავტომატების სროლა გერმანელებს, რომელნიც ხუტორის ქუჩებში ეწეოდნენ პატრულირებას. ოთხი რუსი დეკვმირი, ოთხი გმირი გრანატებს აყრიდა გერმანელებს, მიბრჯენ ქლეტდა მათ ავტომატების მარჯვე ჯერით. გერმანელებმა ვერ გაეძლეს. მათ. ჯარისკაცები ისე გიიქცნენ ხუტორიდან, რომ ისინი ოფიცრების რევოლვერებმაც კი ვერ გამოაბრუნეს უკან. მზვერავებმა ნიშანი მისცეს თავისებს და ხელში ჩაგდებული ხუტორის დაცვას შეუდგნენ მაშველი ჯარის მოლოდინში. პირველ ნავში, რომელიც დასავლეთ ნაპირს მოადგა, მეავტომატეთა დიდი ჯგუფი იჯდა გვარდიის უფროს ლეიტენანტ პიშჩულინის მეთაურობით. იგი მაგრა გადაეხვია ოთხ მზვერავს და მხურვალედ გადაკოცნა.

— გმადლობთ, მეგობრებო,—სთქვა მან. იგი თავის მღელვარებას არა მალავდა.

მერიგეების—პეტუხოვის, სემიონოვის, სისოლიატინისა და ივანოვის მამაცური ხელოვნებითა და გულადი ბრძოლით მოპოვებულ მიწა-წყალზე ახალ-ახალი ფლოტილიები მოდიოდა დნეპრის მარცხენა ნაპირიდან. მათი ბატალიონი მალე გაღმა აღმოჩნდა. ქვეითებს შემდეგ მდინარე გადმოლახეს ტანკისტებმა და არტილერისტებმა. აღსრულდა დიადი საქმე. რუსმა მებრძოლებმა მტკიცედ შესდგეს ფეხი დასავლეთ ნაპირზე.

ამ-ამად ეს ხუტორი, რომლისთვის ბრძოლაშიც სამარადისო სახელი მოიხვეჭეს გვარდიელებმა, დნეპრს გაღმა გასული ჩვენი ნაწილების ზურგში დარჩა. არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ავიაციის საფარქვეშ საბჭოთა ჯარების სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა გადადის დასავლეთ ნაპირზე. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევა, ბრძოლაში გამოჰყავს ავიაცია და ტანკები, იგი თავს უყრის არტილერიასა და ნაღმსატყორცნებს და ხშირად გადმოდის კონტრიერიშზე. მაგრამ საბჭოთა მეომრები, რომელნიც გმირულ ბრძოლას ეწევიან დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, სამმაგ მამაცობას, უდიდეს შეუპოვრობას, დაუშრეტელ ინიციატივას იჩენენ. დნეპრი გადალახულია. დნეპრი ჩვენია!

ბ. კრილოვი.

საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული ქართველ ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგით მებრძოლთა ჯგუფი. შუაში პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი.

საფლავი ჩერნოიარკაში

ნოემბრის მიწურული იყო. ქისტივით გულფიცხი თერგი ხმაურით აწყდებოდა მაღალ ნაპირებს, ღორღსა და რიყეს ერთმანეთს ანარცხებდა, გულჯავრიანი მობორგავდა.

თერგს გაღმა ხეევებში და ღრანტეებში გერმანელები ისხდნენ, გამოღმა ღელეებში ქართველი მებრძოლები. მტერმა ბევრჯერ სცადა მდინარის გადმოლახვა, ნაღმებითა და ყუმბარებით გადახნა სანაპირო, მაგრამ ქართველებმა ერთი გოჯი მიწაც არ დაუთმეს...

ბრაზითა და მუქარით მოჰქუხდა თერგი, გერმანელებიც ბრაზით აწყდებოდნენ მის კიდეებს. ბაჭოს ნავთისაკენ ეშურებოდათ, სომხეთისა და საქართველოს პირხვავიან მინდვრებისაკენ ისწრაფოდნენ.

23 ნოემბერს განთიადზე მათი ქვემეხები ერთბაშად აყეფდნენ, ხეობა ცეცხლსა და კვამლში გაჰხვიეს, ქვეითებიც იერიშზე წამოვიდნენ.

— არც ერთი ნაბიჯი უკან!

გაისმა კაპიტან ავთანდილ კვარაცხელიას ძახილი და მისმა ათასეულმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ხშირი ცეცხლი შეაგება გერმანელებს.

ტყვია სწვიმდა, ნაღმები და ყუმბარები მიწას შიგნავდნენ, გოგირდისა და თოფის წამლის კვამლი აბრუებდა მებრძოლებს. კვარაცხელიას ათეული მაინც ფეხმოუცვლელად იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშს.

გერმანელებმა ჩვენების წინააღმდეგობა რომ ვერ გასტეხეს, ახლა მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე დაიწყეს მოძალება, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ქარიშხლიან ცეცხლს ამოფარებული მტრის მეავტომატეები გალა-გალა შემოეწყვნენ ჩვენს მოწინავე რაზმებს. სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა თანდათან მძაფრდებოდა. მარჯვედ დასაფრებული ჩვენი მეტყვიამფრქვევეები ჯვარედინი სროლით სთიბავდნენ მოწინააღმდეგის რიგებს.

გერმანელებმა მსხვერპლს არ ერიდებოდნენ, ახალ-ახალ განაყოფებს აბამდნენ ბრძოლაში, იერიში იერიშზე მოჰქონდათ, წინ მოძვრებოდნენ.

მდგომარეობა გართულდა, მათ ორივე ფრთაზე ჩვენი თავდაცვის პირველ ხაზამდე უკვე მოაღწიეს...

მაშინ ავთანდილ კვარაცხელიამ გაბედული გადაწყვეტილება მიიღო: ასეულები სწრაფად გადაჯგუფა და მოწინააღმდეგის თავდაცვის შუაგულზე უეცარი იერიში დაიწყო.

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის, მომყვითო ქართველებო!

შესძახა მან და წინ გაუძღვა ათასეულს.

ორივე ფრთაზე მოძალებული მტრისათვის ალბათ მოულოდნელი იყო საბჭოთა ჯარის ასეთი სარისკო ნახტომი. მისი ცენტრი დასუსტებული აღმოჩნდა.

კაპიტან კვარაცხელიას ათასეულმა ხანმოკლე და ფიცხელ ბრძოლაში გასტეხა იგი, მისი თავდაცვა შეანგრია, შუაზე გაჰკვეთა და ორივე მხრიდან გვერდულად დაჰკრა. ეხლა გერმანელები თვითონ აღმოჩნდნენ მახეში. როგორც ძირში მოჭრილი ტოტები მათი წინგამოწვდილი ორივე ფრთა ერთბაშად შეირყა, შეიმტვრა და უკუიქცა.

პირველი ბრძოლა და პირველი გამარჯვება ესე ერთად შეხვდა კაპიტან ავთანდილ კვარაცხელიას ათასეულს.

ძნელი და გრძელი საომარი გზა აქეს გავლილი იმ დივიზიას, რომელშიაც შედის კვარაცხელიას ათასეული. კვარაცხელიას ათასეული ამ დივიზიის სახელოვან ბრძოლებში იწრთობოდა ჩრდილო კავკასიისა და უკრაინის თვალუწვდენელ ველებზე.

კავკასიის კალთებზე ხერხემალ გატეხელი ფაშისტური მგელკაცი ღრენით იხევდა უკან, თითო ბორკცსა და გორაკს ებღაუჭებოდა, თითო ხევსა და ღელეს აკვდებოდა, არ ეთმობოდა. ქართველი მებრძოლები მას კვალდაკვალ მისდევდნენ, სულს მოთქმას არ აცლიდნენ, ურტყამდნენ და სისხლისაგან სცლიდნენ. ავთანდილ კვარაცხელიას ათასეულიც თერგის ნაპირებიდან აზოვის სანაპირომდე სდევნიდა მას. აქ მტერი ყუბანის დაბლობის ლიმანებს შეეფარა, პატარ-პატარა ოლეების, ტბორებისა და ჭაობების ვიწროები ჩარაზა, მიუვალ სიმაგრედ აქცია.

ქართველმა მებრძოლებმა ძნელი და პასუხსაგები დავალება მიიღეს: ჭაობები გადაელახათ, მტრის ზურგში ღრმად შეჭრილიყვნენ და ბუნაგიდან ამოეგდოთ სისხლდაღვრილი მხეცი.

გაზაფხული აღვიძებდა მიწას და უკაცურ ოლეებზე დაბზარული ყინული მარცლივით ტეროდა, როდესაც კაპიტანმა კვარაცხელიამ ათასეული დასძრა. ლერწმიან ბილიკებზე თოკივით გაებნენ ფრთხილი, მონადირული ნაბიჯით მომავალი ქართველი მებრძოლები. მეწინავენი ძლივს მიიკვლევდნენ გზას, შამბსა და ჩალას მისთელავდნენ, გათოშილ წყალში უელამდე ცვიოდნენ და მაინც მიდიოდნენ. მათ ხელის იარაღის მეტი არაფერი გააჩნდათ. გაუთავებელმა ჭაობებმა და ყინულის ნაპრალებმა არც ერთი ქვემეხის, არც ერთი ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის გადატანაც არ დაანებეს.

გერმანელები უკან დარჩნენ. ისინი გულარხეინად ისხდნენ ყუბანელ მეთევზეების ქოხებში და ეუბნებოდნენ, რომ ამ საიმედოდ ჩაკეტილ სიმაგრეში თუნდა ერთი ძალა-ხორცელი მუმაღწევდა. ამიტომ თოფიც არ გადასვრიათ ორმოც-სამოცი კილომეტრი ზღვებმა ისე გიარეს...

ბალის შერეული ყინული დრო-ოყო, რომ დესაც საბჭოთა განაყოფები მტრის თავდაცვითს ხაზს ზურგიდან ისე მიუახლოვდნენ. კვარაცხელიას ნაწილი მებადურების ერთ პატარა სოფელში დაბინავდა, ორმა ნაწილმაც მეორე სოფელში დაიწყო შეყონვა.

ძნელი გზით ნავალი, დაღლილ-დაქანცული მებრძოლები ქოხებსა და საბძლებში დაბინავდნენ. შუაღამე იყო, მაგრამ ძილი არავის ეკარებოდა... ზოგი ტანსაცმელს იშრობდა, ზოგი იარაღს სწმენდდა...

ძილისათვის არ ეცალა ავთანდილ კვარაცხელიასაც, როგორც გამოცდილი გუთნისდედა მინდორში გასვლამდე გუთნეულს ჩამოუვლის, სახნისსა და საკვეთს პირს გაუსინჯავს, მანაც ისე ჩამოუარა თავის მებრძოლებს, ვის რა უჭირდა—გამოჰკითხა, იარაღი შეუმოწმა. მტერი ახლოს იყო,—სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა...

და მალე, ირგვლივ გამეფებული სიჩუმე ქვემეხების გუგუნმა შეარყია. ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მერე გაბმით და ზედიზედ ახმაურდნენ მტრის საეცხლურები. ჩაბნელებულ ცაში მოტრასირე ტყვიების შადრევნებმა ამოხეთქა, ღამის ბრძოლა დაიწყო.

ჩვენი მოწინავე ნაწილები შევიდნენ თუ არა მეორე სოფელში, გერმანელები იერიშზე გადმოვიდნენ. წინასწარ მომზადებულ მტერს ხელსაყრელი ზღუდე ეჭირა. ლიმანებზე მიმავალი ერთად ერთი გზაც მის ხელში იყო, თანაც არტილერია და ნაღმსატყორცნები ებმარებოდა.

ბრძოლა მძიმე და უთანასწორო იყო... ჩვენი მეავტომატეები მიბრჯენივ სცხრილავდნენ ჰიტლერელ ავაზაკებს, ქვეითები ხიშტებისა და ხელყუმბარებით შლიდნენ მათს რიგებს, ესხვეოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად სთელავდნენ და ანადგურებდნენ.

ყოველი ორღობე, ეზო და სახლი ხელიდან ხელში გადადიოდა, გერმანელების ველური ყიჟინა და ქართველების გამამხნევებელი ძახილი ერთმანეთს ჰფარავდა. ბოლოს ჩვენების შეუპოვრობით გახელებულმა მტერმა მაშველი ჯარიც ჩაება ბრძოლაში და სოფელს სამივე მხრიდან ერთად შემოუტია.

ხიფათიანი წუთები დადგა. საბჭოთა ნაწილები ძნელად გასავლელ ჭაობებსა და ჭაობების ცოშში ეფლობოდნენ.

მაშინ მიიღო ბრძანება კაპიტან ავთანდილ კვარაცხელიას ათასეულმა. მან სწრაფი ნახტომით პირდაპირ გადასჭრა ოთხ კილომეტრიან ლიმანის ლიხი და ყინული და როდესაც მტერს თავი უკვე გამარჯვებული ეგონა, მარცხენა ფრთიდან მოულოდნელად დაჰკრა.

ინათა კიდეც. ჩვენი შეავწროებული განაყოფები ახალი ძალით ეკვეთნენ გერმანელებს. ავთანდილ კვარაცხელია ნახ ერთ ასეულთან გაჩნდებოდა, ნახ მეორესთან. ავტომატ შემართული გასძახოდა და ამხნევებდა მებრძოლებს.

აგერ მან თვალი შეასწორა: პატარა ქოხიდან ტანზე საბან შემოხვეული ათი-თორმეტი წლის ქერა გოგონა გამოვარდა. მას ორივე ხელი მაგრა მიეკრა გულზე და უმწეოდ გაკკიოდა.

გოგონა ერთბაშად შესდგა, თითქოს შეაკანკალა და მოთიბულივით დაეცა ყინულზე. კვარაცხელიას წამით ბრძოლა დაავიწყდა, გოგონასთან მიიჭრა. დახედა: იგი უკვე მკვდარი იყო. შუშასავით გაციებული თვალები ღია დარჩენოდა, მაგრამ პატარა მკერდი ისევ უფეთქავდა...

კაპიტანი გაშტერდა,—მკვდარი იყო და მკერდი უფეთქავდა...

მან სასწრაფოდ ჩაიჩოქა, გოგონას საბანი შემოაგლიჯა და ბავშვის სისხლიან მკერდზე ძუძუმწოვარა ბავშვი დახვდა მიკრული.

საწყალ გოგონას პატარა ძმის გადარჩენა უნდოდა და თითონ დაიღუპა.

გულდაწყვეტილმა კაპიტანმა სისხლში მონაცოლული მომავალი შურისმგებელი მებრძოლს ჩააბარა და თვითონ ისევ ათასეულს გაუძღვა.

— იმ ბავშვის სისხლისათვის, ჩვენი დედებისა და შვილების სიცოცხლისათვის დასცხეთ ქართველებო!

უკოდა იგი მებრძოლებს და გერმანელებს მისთელავდა.

გათენდა. მტრის რიგებს დელგმასავით გადაუარეს ჩვენებმა. ჰიტლერის ნაქები მეომრები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ.

ავთანდილ კვარაცხელია განთავისუფლებულ სოფლის უკანასკნელი ქოხის ეზოშიც შეიჭრა... საბძელთან დასაფრებულმა გერმანელმა მას ახლო მანძილზე დააყარა ტყვია. ყუბანის ჯერ ისევ გაყინული მიწა მამაცი მეთაურის სისხლმა გაათბო.

— მე ვიღუპები... იმ ბავშვის სისხლი აზღვევინეთ გერმანელებს...

ძლივს განაგონი ხმით უთხრა მან თავის მოადგილეს იოსაფას და თოვლში ჩაიკეცა...

სოფელ ჩერნოიარკაში ზინაიდა ბაბიჩის სახლის ეზოში მის საფლავს უბრალო წარწერა აქვს გაკეთებული: ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი კაპიტანი ავთანდილ ანდრიას-ძე კვარაცხელია.

ილო მოსაშვილი.

მზვერავთა გაბედული მოქმედება

მიუხედავად არახელსაყრელი ადგილმდებარეობისა, ჩვენი მზვერავები მოხერხებულად შეიპარნენ მტრის ზურგში და ზუსტად გამოარკვიეს მათი საცეცხლე წერტილის ადგილსამყოფელი. დაზვერვის დროს მათ მოუხდათ შეტაკება მტრის ჯგუფებთან, დიდი ზარალი მიაყენეს მათ და უკლებლივ დაბრუნდნენ უკან.

ჩვენმა მზვერავებმა მნიშვნელოვანი ცნობები მოუტანეს სარდლობას.

ამ ოპერაციის დროს განსაკუთრებით გაბედულად და მოხერხებულად მოქმედებდნენ მზვერავები **დევრისაშვილი, როსტიაშვილი, ბუჩუკური** და სერჟანტი **კუტუბიძე.**

ბ. ბურძგლა

ნ წითელარმიული გაზეთი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ჭამანისაკენ

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქართველი მეომრები ბრძოლაში მიდიოდნენ. ისინი მხნედ მიაბიჯებდნენ ყუბანის მიწაზე, სადაც მათმა გმირულმა მარჯვენამ მრავალ ჰიტლერელს გაუთხარა სამარე ზამთრისა და გაზაფხულის ფიცხელ ბრძოლებში.

ახლა ისინი ისევ ბრძოლაში ებმებოდნენ.

ისინი მღეროდნენ იმ უკვდავ სიმღერებს, რომლებიც ვაჟკაცობის სადიდებლად შეჭქმნა მრავალ ომგადახდილმა ქართველმა ხალხმა.

მებრძოლებმა გზად განვლეს წინაღამით კანთავისუფლებული ქალაქი ნოვოროსიისკი. შავი ზღვის მარგალიტი ნანგრევებად და ნაცარტუტად იყო ქცეული.

მებრძოლებმა ხახეს მიწასთან გასწორებული ლამაზი და მდიდარი სახლები; ცეცხლისა და უუმბარებისაგან ტოტებ-დალეწილი, გაშავებული ბაღები. ქუჩებში ნანგრევების მთები იდგა.

ქალაქში რომ შევიდნენ, მებრძოლებმა სიმღერა შესწყვიტეს და ნაბიჯი შეანელეს, თითქოს ნანგრევებს კი არა, ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს ხედავდნენ... და, მართლაც, ყოველი შენობა ამ გმირული ქალაქისა ბრძოლაში იყო დაღუპული.

არცერთი მოსახლე, არსად რაიმე ნიშანი სიცოცხლისა.

მხოლოდ ერთგან, მთავარი ქუჩის მოსახვევში, რამდენიმე ქალი და ბავშვი გამოჩნდა.

ისინი ხელურემს მოაგორებდნენ.

ხელურემზე მათი ღარიბული ბარგ-ბარხანა ეყარა.—მთელი მათი ქონება, რაც გადაურჩა გერმანელ მტაცებლებს.

ისინი ტყეში იყვნენ გახიზნულნი. ცხოვრობდნენ მიწურებში, სადაც ქარსა და წვიმას თასი კარი ჰქონდა.

მათი საკვები იყო ძირხვენები და ტყის ხილი, ბაგრამ ისინი ყველაფერს იტანდნენ, რადგან იცოდნენ, რომ საბჭოთა მებრძოლები მალე გასწმენდნენ ქალაქ ნოვოროსიისკს ფაშისტური უწმინდურებისაგან.

ეუსრულდათ ნატვრა...

მებრძოლები აკვირდებოდნენ ტყიდან დაბრუნებულ ქალებსა და ბავშვებს... გამხდარნი, უდროოდ დაბერებულნი, ჩამოხეულნი...

მათი ნაწამები პირისახე ულმობელ შურისძიებას ითხოვდა მეოცე საუკუნის ბარბაროსებზე.

— გამარჯობა, ძმაო!—მიესალმებოდა დაბრუნებული ხიზანი წითელარმიელს და ღიმილს გადაჩვეული მისი სახე ისევ იღიმებოდა.

... გამარჯობა, ძმაო!—რამდენი ალერსი და სიხარული გამოსჭვივოდა მათს მისუსტებულ ხმაში.

ერთმა ხნიერმა დედაკაცმა ზურგზე მოკიდებული ბარგი გზისპირას მიაგდო და წითელარმიელს დაედევნა. იგი ღელავდა, თვალზე სიხარულის ცრემლი ადგა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა რომ ვერ ეპოვნა, მებრძოლს მკლავზე ხელი ჩამოუსვა,—მოეფერა, მიუალერსა, თითქოს დიდხანს უნახავ ვაჟიშვილს შეხვედროდეს.

ამ მკლავმა აღირსა მას შინ დაბრუნება.

მისი „შინ“ ახლა ფერფლად იყო ქცეული, მაგრამ მაინც „შინ“ ერქვა და მოხუცი ქალი ბედნიერი იყო.

ქალაქიდან გასვლისას ქართველმა მებრძოლებმა საკაცეზე დასვენებული მეზღვაური ნახეს.

იგი ცოცხალ-მკვდარი ამოეყვანა მესანგრეს რომელიღაც სარდაფიდან.

მეზღვაურს თვალები დათხრილი ჰქონდა, თითები—მოკვეთილი.

იგი მძიმედ დაჭრილი ჩაეგდო ხელში გერმანელ ოფიცერს, მაგრამ ზღვის ლომკაცს არამც თუ სიტყვა, კვნესაც არ დასცდენოდა.

მისი დათხრილი თვალები შურისძიებას ითხოვდნენ...

და იმავე საღამოს, როდესაც ჩვენი დივიზია, რომელსაც მეთაურობს პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი, შეტევაზე გადავიდა, შურისძიების წყურვილი, როგორც დროშა, წინ გაუძღვა ქართველ ვაჟკაცებს ორფეხა მხეცებს შესამუსრავად.

ამ გრძნობით ჩაებნენ ქართველები ტამანისათვის ბრძოლაში.

ნოვოროსიისკიდან უკუქცეული და გაბოროტებული მტერი ყველაფერს ანადგურებდა, სწვავდა უკანდახევის გზებზე.

და ჩვენი მებრძოლებიც კვალდაკვალ მისდევდნენ ცოფმორეულ ფაშისტებს, რომ რაც შეეძლება ჩქარა მოეკვეთათ მათთვის ჩვენი სოფლებისა და ქალაქების გადაწვაზე დაგეშილი ხელი.

მტერი ცდილობდა გაქცეოდა ჩვენი დივიზიის მოიერიშე ავანგარდს, რათა გადაერჩინა ცოცხალი ძალა და ტექნიკა. იგი ცდილობდა დაწინაურებულიყო, რომ მაღლობებზე გამაგრება მოესწრო და ჩვენი წინსვლა შეეფერხებინა.

ისინი უხვად ნაღმავდნენ ყოველ გზასა და ბილიკს, ნაღმავდნენ ყოველი სოფლის გასადევარს, ვენახებს, ყანებს, სახლებს,—ნაღმავდნენ ყველაფერს, რასაც სამუდამოდ სტოვებდნენ.

ჩვენი დივიზიის დარტყმის მთავარი მიმართულების გზაზე მიწის ყოველი მეტრი დანაღმული აღმოჩნდა.

ყოველ მაღლობზე ჩასაფრებული იყო გერმანელთა ბატარიები... მტერი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ საბჭოთა მებრძოლების შეტევის ტემპი შეენელებინა და მთავარი ძალების სამშველოდ გაეყვანა მოესწრო.

მაგრამ პოლკოვნიკ ყურაშვილის დივიზიის შეტევითი აღტყინება დღითი-დღე მატულობდა.

ოცდაორ სექტემბერს პოდპოლკოვნიკ მაზაგაძის მოწინავე ნაწილმა ბრწყინვალე მარშის შედეგად გზა გადაუჭრა გერმანელთა ავანგარდს და გაჰფანტა იგი. 23 სექტემბერს ჩვენი ქვეგანაყოფები პირისპირ შეხვდნენ გერმანელთა მთავარ ძალებს.

ორი დღეადამე გაგრძელდა სასტიკი ბრძოლა. ქართველი მებრძოლების იერიში იმდენად სწრაფი და შეწყობილი იყო, რომ მტერმა ზედიზედ დასტოვა სამი სოფელი, ქვემეხების არამც თუ გატანა, მათი გაფუჭებაც ვერ მოასწრო... ჩვენებმა ხელთ იგდეს რამდენიმე მთელი ქვემეხი, დიდძალი საომარი მასალა და მრავალი სხვადასხვა დავლა.

მთავარიმაბი უკუგდებულმა მტერმა ვერსად ვერ მოასწროს ფეხის მოკიდება!—ეს იყო დევიზი ჩვენი შენაერთის ყოველი მებრძოლისა და მეთაურისა.

ყოველი იერიშის წინ პოლკოვნიკი ყურაშვილი პირადად ხელმძღვანელობდა მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების დაზვერვას.

ამიტომ ქვეგანაყოფებმა დეტალურად იცოდნენ, სად რა სახის დაბრკოლება უნდა გადალახათ მტერთან შეხვედრისას და შეხვედრის შემდეგ.

მსუბუქი ქვემეხები განუწყვეტლივ თან ახლდნენ ქვეითებს. როდესაც უგზო მთაგორები გამწყვა ძალას შეაფერხებდნენ, მაშინ კაპიტან ხარატიშვილის მამაცი არტილერისტები ხელით მიათრევდნენ ქვემეხებს ქვეითთ ჯარის საბრძოლო წყობაში.

გაშალებული მუშაობდა ოფიცერ ჯაბუას მესანგრეთა ქვეგანაყოფი, რომ დანაღმული გზები და სოფლები გაეწმინდა.

კაპიტან დოლიძის დამკვრელი ჯგუფი, როგორც ელვა, ყველგან ჩნდებოდა და მისი ფეხერდული იერიშები, მისი მებრძოლების „ვაშა“ და ხიშტი სიცოცხლეს უმწარებდა ფაშისტებს. მისი ჯგუფის გავლილი გზები მუდამ მოფენილი იყო ჰიტლერელი არამზადების უსულო გვამებით.

ქართველი ხალხის ხსოვნაში მუდამ დაუვიწყარი იქნება ვლადიმერ ლომაძის გმირობა. იერიშის დაწყებისას იგი ორივე ფეხში ძმიმედ დაიჭრა, სიარული ვეღარ შესძლო. მაშინ თავდადებულმა ქართველმა მეთაურმა მებრძოლი მხარში ამოიყენა და ასე გაუძღვა ოცეულს ბრძოლაში.

მეორედ იგი სასიკვდილოდ დასჭრა გერმანელმა სნაიპერმა. სანამ მისი ძლიერი სული და ხორცი ერთმანეთს გაეყრებოდა, იგი ერთს სიტყვას ჩურჩულებდა მხოლოდ: „...წინ, წინ, ჩემო ლომებო!“

სანატარელ ნაწილში ვერც ერთ მსუბუქად დაჭრილ მებრძოლს ვერ შეხვდება კაცი. ისინი ეპარებიან ექიმებს და ისევ ბრძოლაში მიდიან.

ორი დღის განმავლობაში ოცდათორმეტი კილომეტრი ბრძოლით განვლო ჩვენმა დივიზიამ, რამდენიმე დასახლებული პუნქტი აიღო და ზღვისპირას გავიდა, რითაც უმაღლესი სარდლობის პირველი საბრძოლო ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

ზღვისპირზე გასვლის შემდეგ შენაერთმა მიმართულება შეიცვალა და განაგრძო გერმანელთა დევნა და ულეტა.

* * *

გვიან ბარამბია ცხრამეტი წლისა იყო, როდესაც სამშობლომ უწმინდესი ვალის მოსახდელად სამამული ომში დაუძახა.

სკოლის მერხიდან ჭაბუკი პირდაპირ ომის ქარცეცხლში მოხვდა.

ბარამბიამ გულმოდგინედ მოჭიდა ხელი სამხედრო ხელოვნების შესწავლას. გონიერი და გულდამჯდარი ჭაბუკი მალე ოფიცერი გახდა და შარშან თერგის ქვეშნარებში მან პირველად მოჰკლა გერმანელი ფაშისტი, მისი ქვეყნის მოსისხლე მტერი.

იგი მაშინ მეტყვიამფრქვევეთა ოცეულს მართავდა და ყოველ ბრძოლაში ღირსეულად ატარებდა საბჭოთა ოფიცრის სახელს.

22 სექტემბერს, როცა ჩვენი დივიზია ბრძოლაში ჩაება, უფროს ლეიტენანტ გივი ბარამბიას მძიმე ტყვიამფრქვევები მხარში ამოუდგნენ მოიერიშე მსროლელებს.

ბრძოლაში მარჯვე და ფიცხი ოფიც

„კრწანისის გმირები“

რუსთაველის სახელობის თეატრში

გერმანულ-ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ ძლევამოსილ ბრძოლათა და გამარჯვებათა ახლანდელ უმაგალითოდ გმირულსა და მგზნებარე დღეებში ჩვენი ხალხი მღელვარე სიყვარულით იგონებს და დიდების უჭეშმარიტ შარავანდედით მოსავს თავის გმირ წინაპრებს—ჩვენი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების შემქმნელებს, ჩვენი სამშობლოს დიდებისა და უკვდავების, მისი ღირსებისა და თავისუფლების განმამტკიცებელთ.

წარსულის ასეთ დიდებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს მეფე ერეკლე მეორე,—მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის უდიდესი გმირი, მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი, იშვიათი ჭკუისა და გამჭრიახი გონების სახელმწიფო მოღვაწე.

თავისი უდრეკი გულისა და სამხედრო გენიის მეოხებით მან მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ ერთხელ აამაღლა და გააძლიერა განუწყვეტელ ბრძოლებში სასტლისაგან დაცლილი საქართველო, მრავალჯერ საქვეყნოდ ასახელა სამშობლო და შენდეგ, როდესაც უთვალავი მტრების მიერ გარემოცული საქართველოს განმარტოებული არსებობის შეუძლებლობა აშკარა გახდა, მან იშვიათი შორსმჭვრეტელობით გამონახა მაშინდელს ისტორიულ ვითარებაში ერთადერთი სწორი და გონივრული გზა—სამუდამოდ დააკავშირა ქართველი ხალხი თავის დიდ ჩრდილოელ მეზობელთან—რუს ხალხთან.

ერეკლეს კარგად იცნობდა და დიდადაც ფასობდა მისი თანამედროვე მსოფლიო. აღმოსავლეთში მას „აზიის ლომს“ ეძახდნენ, ევროპული პრესა ცხოვლად ეხმაურებოდა ერეკლეს ბრძოლებს, მასზე ბევრს სწერდნენ ევროპელი ისტორიკოსები და რომანისტები. ლესინგის პიესის „ჯარისკაცის ბედნიერების“ ერთ-ერთი გმირი, აღმოსავლეთში გაქცევაზე და ერეკლეს ლაშქარში ჩარიცხვაზე მეოცნებე ვახმისტრი პაულ ვერნერი განცვიფრებულია იმით, რომ მისმა მოსაუბრემ, მაიორის შახტრმა იუსტმა არაფერი იცის ერეკლეს შესახებ. „ჩემო მეგობარო,—ეუბნება ვერნერი იუსტს,—მე ვხედავ, რომ შენ იშვიათად კითხულობ გაზეთებს. ნუთუ შენ არ იცნობ პრინც ერეკლეს, იმ გმირს, რომელმაც შეარყია სპარსეთი და ეს-ეს არის უნდა შეიჭრას თურქეთში?!“

ბუნებრივია, რომ ერეკლეს შესანიშნავი ცხოვრებისა და გმირული ბრძოლების თემამ საპატიო ადგილი მოიპოვა სამამულო ომის პერიოდის ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში. ამ მრავალმხრივ წარმტაცსა და ჩვენს მგზნებარე დღეებთან უაღრესად თანახმოვან თემაზეა დაწერილი სანდრო შანშიაშვილის ისტორიული დრამა „კრწანისის გმირები“, რომელიც მომდინარე სეზონის პირველ ნახევარად გვიჩვენა რუსთაველის სახელობის თეატრმა.

ერეკლეს ხანგრძლივი მეფობის ისტორიიდან და მის მიერ გადახდილი მრავალრიცხოვანი ომებისაგან სანდრო შანშიაშვილს თავისი პიესის საფუძვლად აურჩევია კრწანისის ბრძოლა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, ღრმა დრამატიზმით აღსავსე ეპიზოდი არა მარტო ერეკლეს ბიოგრაფიისა, არამედ მთელი საქართველოს ისტორიისა.

ეს ისტორიული ფაქტი თავისთავად იმდენად ღრმა არის და რთული, იმდენად დაძაბული და მდიდარია დრამატიული სიტუაციებით, რომ იგი, რასაკვირველია, საესებით საკმარის მასალას იძლევა მაღალმხატვრული ისტორიული უანრის ნაწარმოებისათვის. მაგრამ დრამატურგი არ დაკმაყოფილებულა კრწანისის ტრაგედიის მხატვრული აღდგენისა და განსახიერების ამოცანით. მას განუზრახავს ერთ ნაწარმოებში იმ დიდი ისტორიული მოვლენის ასახვასთან ერთად გადასწვდომოდა არა მარტო იმდროინდელ საქართველოს შინა-პოლიტიკური ბრძოლების საკითხს, არამედ ერეკლეს ოჯახური ცხოვრების სფეროსაც, გამოეხატა სახალხო შინაგანი ყოფა, ეჩვენებინა ერეკლეს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთა ურთიერთობის მეტად თავისებური ისტორია.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ძნელად დასაძლევ ამოცანას შესაჭიდებია დრამატურგი. პიესაში ორი სიუჟეტური ხაზი ისახება, რომლებიც არამც თუ არ ავსებენ და ამდიდრებენ, არამედ, პირიქით, ეწინააღმდეგებიან და აფერმკრთალებენ ერთმანეთს.

„კრწანისის გმირები“ ჰქვია პიესას და მაყურებელი მოელის ნახოს და განიცადოს სცენიდან ის დიდებული გმირობა და თავდადება, რომლითაც ქართველი ხალხის მრავალმა საამაყო შვილმა თავი ისახელა თავისი სამშობლოს იმ საბედისწერო დღეებში. თითქოს ამისათვის გვამზადებს კიდეც ფართო ეპიკური პლანით გაშლილი საექსპოზიციო ნაწილი პიესისა, სადაც საუცხოოდ არის ნაჩვენები ერეკლეს განუყოფელი სიახლოვე ოვის ხალხთან, ხალხის სიყვარული თავისი მოამაგე წინამძღოლისადმი, ერეკლეს თვალის სიმახვილე და გულის სიმაგრე, მისი სამართლიანობა და გულისხმიერება. ხალხის მზადყოფნა—ვაჟკაცურად დაუხვდეს მუხანათ მტერს. ყოველივე ამის შემდეგ მაყურებელი დაძაბული ყურადღებით მოელის საგმირო საქმეთა დატრიალებას, უწმინდესი პატრიოტული გრძნობის მაღალ გამოხატულებას პიესის პერსონაჟთა მოქმედებაში, საქმეში.

მაგრამ პიესის შემდგომს განვითარებაში მის წინა პლანზე, დრამატიული მოქმედების ფოკუსში ოჯახურ ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოშობილი სიტუაციები ექცევიან, „ხლართება ღალატისა და ვერაგობის, მუხანათური გამცემლობის ქსელი, ზედიზედ აღმოცენდებიან ისეთი რთული სცენიური მდგომარეობანი, რომლებიც ცალცალკე აღებულნი შეიძლებოდა გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი ნაწარმოების საფუძვლად.

ანგარების გრძნობით შეპყრობილი დედოფალი დარეჯანი ღალატობს მეფეს ქვეყნის ცხოვრების უმძიმეს წუთებში და იპარავს „ანდერძის წიგნს“. კანცლერი ლეონიძე ხელიდან გამოსტაცებს დედოფალს ამ ნაქურდალ საბუთს და ამით იხსნის მდგომარეობას, თუმცა თავისთავს დიდ ხიფათში აგდებს. მამისა და სამშობლოს მოყვარული, მართალი გულის ბატონიშვილი თეკლე, დაუფარავად და გაბედულად ამხელს საკუთარი დედის ვერაგობას და მუხანათობას. დარეჯანის თანდასწრებით ამცნობს მამას დედოფლის მოღალატეობის შესახებ. დედოფალი მარიამი, უამბობს მეფეს თავისი ძმის რევაზ ციციშვილის გაძეძულობის შესახებ და შემდეგ, როცა ქვეყნის ორგულთა და მოღალატეთა მეოხებით ტყვეობიდან გაქცეული რევაზი სამშობლოში მოუძღვება საქართველოს მოსისხლე მტერთა ურდოებს, მარიამი ხელს აღმართავს ძმის მოსაკლავად.

ყოველი ეს სიტუაცია ცალკე აღებული ი[illegible]დნად რთულია ფსიქოლოგიურად, რომ სცენიდან მათი ჩვენებისას მხატვრული სიმართლისა და დამაჯერებლობის მისაღწევად აუცილებელია მათი გულმოდგინედ შემზადება, დასაბუთება, ღრმად გახსნა. „კრწანისის გმირებში“ კი ეს სიტუაციები ეპიზოდურად ისახებიან, ერთბაშად ინასკვებიან და იხსნებიან კიდეც. ამაში მდგომარეობს პიესის ნაკლი, რომლის მიუხედავადაც ეს ნაწარმოები თავის გარკვეულ ღირსებებათა გამო ნაყოფიერად გამოუყენებია თეატრს ცხოველი პატრიოტული სპექტაკლის შესაქმნელად.

დრამაში დიდი სიწრფელით და ისტორიული სიმართლით არის დახატული აღებული ეპოქის მთელი რიგი ისტორიული პერსონაჟები და პირველ რიგში კრწანისის უპირველესი გმირი—თვით ერეკლე მეორე. მასში სინამდვილით, ისტორიული გითარებით და პერსპექტივის სწორი გააზრებით არის დაყენებული იმდროინდელი საქართველოს შინა-პოლიტიკური ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობათა ძირითადი პრობლემები. პიესაში არის ზოგიერთი ისეთი გონებამახვილურად მოფიქრებული სცენები, რომლებიც ამაღლებენ მისი, როგორც დრამატიული ნაწარმოების დონეს. გარდა უკვე აღნიშნული პირველი საექსპოზიციო სურათებისა, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, მაგალითად, ეპიზოდი თედო გათენაშვილის ქოხში და თავის სარდლებთან ერეკლეს თათბირის სცენა.

პიესა დაწერილია კარგი ქართულით, ფერადოვანი და მხატვრულად დამუშავებული ენით. იგი ტემპერამენტით, შინაგანი გზნებით არის აღბეჭდილი.

რუსთაველის თეატრის კოლექტივს დიდი შემოქმედებითი ენერგიით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დუმუშავებია ეს სპექტაკლი. პიესის დამდგმელმა—რეჟისორმა დ. ალექსიძემ, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა კომედიური ჟანრის სპექტაკლების ნიჭიერი ოსტატის რეპუტაცია, ახლა თავისი შეზომქმედებითი შესაძლებლობის ახალი მხარე გვიჩვენა. ეპოქის სულის ღრმად გაგებასა და განცდასთან ერთად რეჟისორი იჩენს მიზანსცენების დიდ კულტურას, სცენიურ კომპოზიციათა აზრიანად და ეფექტურად აწყობის უნარს. ხშირად იგი აცოცხლებს და ემოციურ ძალას აძლევს ისეთ სცენებს, რომლებიც დრამატურგიულად ღარიბად არიან მოფიქრებულნი (მაგ. პიესის ფინალი).

მხატვარს ს. ვირსალაძეს მაღალი გემოვნებით, საღებავების საოცარი სიმდიდრით და ჰარმონიულობით შეუსრულებია დეკორაციები. დიდი ეკონომიით და ცხოველი ფანტაზიით, ღრმა ფერადოვნებით გადაშლის იგი ჩვენს თვალწინ ძველი თბილისის პეიზაჟებს, ქალაქის ზოედნების ხედებს, ერეკლეს სასახლის დარბაზებსა თუ აღა-მაჰმად-ხანის ბანაკის დამახასიათებელ სურათებს.

რეჟისორსა და მხატვარს გულმოდგინედ შეუსწავლიათ ეპოქა და მისი ნივთობრივი ინვენტარის თავისებურებანი. ეს სჩანს როგორც დეკორაციებში, ისე რეკვიზიტში და მოქმედ პირთა ჩაცმულობაში. ყველაფერში იგრძნობა რუსეთისაკენ, ევროპისაკენ მიბრუნებული საქართველოს ახალი ცხოვრების დასაწყისი.

მომხიბვლელად ჟღერს ანდრო ბალანჩივაძის მიერ ამ სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა, დამყარებული ქართული და აღმოსავლური მოტივების მოხდენილს შეხამებაზე. იგი ამზადებს და განაწყობს მაყურებელს წარმოდგენის ყოველ ახალ სურათში დასახული სცენური მდგომარეობის უფრო ღრმად და სრულად განცდისათვის.

დადგმის მთავარ ნაკლად საბრძოლო ეპიზოდების შედარებითი სიმკრთალე და ნაკლებემოციურობა უნდა ჩაითვალოს და აგრეთვე ზოგიერთი როლის დაუმუშავებლობა, თუმცა აქტიორული ხელოვნების მხრივ ეს წარმოდგენა მთელ რიგ შემთხვევებში მაღალ დონეს აღწევს.

ეს უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას ერეკლეს როლის შემსრულებლის აკაკი ვასაძის შესახებ, რომელიც განუწყვეტლივ ღირსეულად დგას სპექტაკლის ცენტრში და თავისი მაღალმხატვრული შესრულებით განსაზღვრავს წარმოდგენის საერთო ხასიათს, მის მიზანმისწრაფებას. მის მიერ შექმნილი სახით არის განაკუთვნული და შთაგონებული მთელი სპექტაკლი, მაშინაც კი, როდესაც ერეკლე უშუალოდ არ სჩანს სცენაზე.

ბრძენი და გულადი, ლმობიერი და სასტიკი, დინჯი და ფიცხელი ერეკლე, ძლევამოსილი და თანაც სევდიანი, თავისი სამშობლოს მწარე ხვედრით გულამოვრეული მეფე-სარდალი, ჭაღარით დათოვლილი, მაგრამ ჭაბუკური გულით და თვალით, მჭრელი გონებით აღჭურვილი „პატარა კახი“ დგას, მოქმედებს და მეტყველებს ჩვენს თვალწინ. ეს სახე აკაკი ვასაძისა და საერთოდ ჩვენი ნაციონალური აქტიორული ხელოვნების ახალი და სასიხარულო მიღწევაა.

შეიძლება შევედავოთ მსახიობს ბ. წულაძეს აღა-მაჰმად-ხანის როლის გაგებაში, შეიძლება ვუსაყვედუროთ მას გადაჭარბება ამ პიროვნების ისტერიულად განსახიერებაში, მაგრამ თავისი ტრაქტოვკის მიხედვით მსახიობმა მაღალნიჭიერად შეასრულა როლი, მან მოგვცა თავისებურად გაგებული, მაგრამ მკვეთრი, მეხსიერებიდან წარუშლელი სახე ვერაგი, სისხლით გაუმაძღარი და უკიდურესობამდე გაცოფებული დამპყრობელისა.

წარმოდგენის პირველ პლანზე წამოსწია მსახიობმა დ. ხუციშვილმა მოხუცი ფშავის თედო გათენაშვილის სახე. მან მონახა სცენიური მეტყველების მკვეთრი საშუალებანი ამისთვის, რომ ღრმად გამოეხატა ხალხის პატრიოტული ერთგულება თავისი სახელოვანი წინამძღოლისადმი, ხალხის ოპტიმიზმი, მისი რწმენა და ნდობა ღვაწლმოსილი მეფის მიმართ.

დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი წარმატება ამ სპექტაკლში. ეს გარემოება ამ წარმოდგენის პირველხარისხოვანი ღირსებაა და მისი დამდგმელის ღირსშესანიშნავი დამსახურება.

ბატონიშვილ თეკლეს როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი მ. თბილელი ამ სპექტაკლში გამოსჩენს, როგორც საიმედო ძალა ქართული სცენური ხელოვნებისა. იგი მომხიბვლელის უშუალობით, სიწრფელით და დიდი ზომიერებით ხატავს ცოცხალი და დაუდგრომელი, მამისა და სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, ვახტანგ ორბელიანისადმი ტრფობით ახლად გულაძგერებული ქალწულის მომზიდველ სახეს.

და ასევე მკაფიოდ გამოსჩენს სპექტაკლში ახალგაზრდა მსახიობის ნ. ჩხეიძის მიერ შესრულებული როლი ვახტანგ ორბელიანისა, რომლის პიროვნებაშიც ასე ორგანოლად გაერთიანებულა თავდადებული პატრიოტი და მგზნებარე მიჯნური. როგორც მ. თბილელი, ისე ნ. ჩხეიძე ყურადღებას იპყრობენ ქართული მეტყველების კარგი ოსტატობით, ემოციურობითა და შინაგანი სითბოთი თავიანთი როლების გახსნაში.

კოლორიტულ მხატვრულ სახეს ჰქმნის ემ. აფხაიძე იესე უზბაშის როლში, თუმცა იგი თანაბარ დონეს ვერ ინარჩუნებს პიესის მთელ მანძილზე. პიესის პირველ სურათებში იგი გაცილებით ძლიერია და საინტერესო, ვიდრე უკანასკნელ მოქმედებაში.

ზოგიერთი პასუხსაგები როლი ვერ არის შესაფერი სიღრმით გახსნილი და ხორცშესხმული. მაგალითად, ეპოქის ისეთი უდიდესი პიროვნება, როგორიც არის კანცლერი სოლომონ ლეონიძე, მსახიობის ბ. ზაქარიაძის შესრულებაში შედარებით მკრთალად გამოსჩანს, მიუხედავად იმისა, რომ აქტიორი ცდილობს ყოველმხრივ ღრმად გახსნას როლი. იგივე უნდა ითქვას დ. მეავია რევაზ ციციშვილზე. ერთფეროვნებით ხასიათდებიან ორივე დედოფალი—დარეჯანისა და მარიამის შემსრულებელნი—თ. თუშიშვილი და თ. ბაქრაძე.

ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად წარმოდგენა მთლიანად ცხოვლად გამოძახილს პოულობს საბჭოთა მაყურებლის გულში, იგი ჩვენს უწმინდეს გრძნობებსა და მისწრაფებებს ეხმაურება და ამიტომაც მაყურებლის შეუნელებელ ინტერესსა და ყურადღებას იწვევს.

ბესარიონ ჟღენტი

მოსკოვში ჩატარდა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ტანვარჯიშში, რომელზეც სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჯორჯაძემ დაიკავა პირველი ადგილი ცალკეული სატანვარჯიშო იარაღების მიხედვით (ღერძი). მას, სპორტის ამ სახეში მიენიჭა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით თბილისელ მეკრიკეს უფროს ლეიტენანტს ლ. ღუდუშაურს, რომელმაც სსრკ მეკრიკეთა აბსოლუტურ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფეხბურთელებს თ. გავაშელსა და ა. ხარბედიას მიენიჭათ სპორტის ოსტატის წოდება.

ხურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯორჯაძე, სპორტის ოსტატები მეკრიკე ლ. ღუდუშაური, ფეხბურთელები თ. გავაშელი და ა. ხარბედია.

საქართველოს სპორტსმენების გამარჯვება ამიერ-კავკასიის სპარტაკიადაზე

ერევანში დამთავრდა ამიერ-კავკასიის ტრადიციული სპარტაკიადა, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სპორტსმენთა დელეგაციები.

სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს და ამით მოიპოვეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

* * *

დღეს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს სპორტსმენების დელეგაცია თბილისში დაბრუნდება. თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციები გამარჯვებულებს სადგურში საზეიმო შეხვედრას უწყობენ.

წითელი არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდის ჩამოსვლა თბილისში

დღეს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვა წითელი არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელ ოსტატთა გუნდი. იგი ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მთელ საბჭოთა კავშირში. ფეხბურთში მოსკოვის პირველობის გათამაშებაზე თან მოუგო ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორიც არიან სსრკ ჩემპიონი „დინამო“, „სპარტაკი“ და სხვ. და დაიკავა პირველი ადგილი. ამ გუნდში ირიცხებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეები. თავდასხმის ცენტრი იქნება სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ფედოტოვი.

თბილისელები დიდი ინტერესით ელიან სტუმრებს, რომლებიც 17 ოქტომბერს ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდებიან თბილისის ნაკრებ გუნდს. „დინამოს“ სტადიონი უკვე იღებს შეკვეთებს ბილეთებზე ამ მატჩის კოლექტიურად ნახვის მსურველთაგან.

შეჯიბრება ცხენოსნობაში

ლენინურ-სტალინური კომკავშირის 25 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ატარებს რესპუბლიკურ შეჯიბრებას ცხენოსნობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს 31 რაიონის კოლმეურნე ცხენოსნები.

ცხენოსანთა შეჯიბრების პროგრამაშია: საცხენოსნო სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეები—ჯირითი, თარჩია, მარულა, აგრეთვე ჩეხვა და ღოღი 2 კილომეტრზე.

17 ოქტომბერს შეჯიბრებები გაიმართება ცხაკაიაში, ზუგდიდში, ხობში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და სხვ.

შეჯიბრების დღეებში შეჯიბრებების ადგილებზე საქართველოს სსრ მიწსახკომი აწყობს ჯიშიანი ცხენების გამოფენას.

გალელ კოლმეურნე ცხენოსანთა სპორტული შეჯიბრება

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ოქტომბრის პირველ რიცხვებში გალში ჩატარდა საცხენოსნო სპორტული შეჯიბრება. რომელშიც მონაწილეობას იღებდა 300-მდე კოლმეურნე მხედარი. კოლმეურნე ცხენოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჯირითში, მარულაში, ხმლით ჩეხვაში და ა. შ. 15 კილომეტრიან მარულაში წარმატება ხვდა 15 წლის ხეხედარს ამბ. თარბას, რომელმაც აღნიშნული მანძილი 35 წუთში დაფარა და პირველ ადგილზე გამოვიდა.

გალში ჩატარებული შეჯიბრება არის საცხენოსნო სპორტული შერჩევითი შეჯიბრება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პირველობაზე. ასეთი შეჯიბრება ტარდება აფხაზეთის სხვა რაიონებშიც.

გ. მერკვილაძე

რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

ლენინურ-სტალინური კომკავშირის 25 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი ატარებს რესპუბლიკურ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 41 რაიონი.

ადგილობრივი და სარაიონთაშორისო შერჩევითი შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ 4, 5 და 6 დეკემბერს თბილისში ჩატარდება საფინალო შეხვედრები საქართველოს პირველობაზე.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოებულ იქნებიან ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ვიმპელებითა და სიგელებით, ხოლო ცალკეული მოჭიდავეები ფასიანი საჩუქრებით.

ჭადრაკი

თბილისის 6 ჰოსპიტალში გაიხსნა ჭოჭადრაკეთა საკვალიფიკაციო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაჭრილი მებრძოლები და მეთაურები 14 კაცის რაოდენობით.

ფეხბურთი

10 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა მორიგი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის წითელ არმიის საჩლისა და ჭუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები.

ტემპიანმა და ცვალებადი უპირატესობით მიმდინარე თამაშმა შედეგი უკვე მეშვიდე წუთზე მოგვცა. დინამოელმა ვაჩაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველ მარცხს თბილისელებმა ძლიერი შეტევით უპასუხეს. 5 წუთის განმავლობაში დიაჩენკომ ორჯერ გაარღვია „დინამოს“ კარი. ტაიმის ბოლო წუთებში თბილისელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით—4:1.

მეორე ტაიმში თბილისელთა მიერ გატანილ კიდევ ორ ბურთს დინამოელებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს. ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა თბილისის წითელი არმიის საჩლის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით—6:2.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

12 ოქტომბერს: ᲮᲐᲮᲣᲚᲘᲐ—„უეგენი ონეგინი“, **რუსთაველის** — „საპატარძლო აფიშით“. **მარჯანიშვილის** — „მეფე ერეკლე“, **გრიბოედოვის**—„ერთი ღამის შეცდომები“, **სომხური** — „აღმოსავლეთის დანტისტი“, **აზერბაიჯანული**—„არშინ მალ-ალან“, **მოზარდ მაყურებლის**—ქართული „შეხვედრა“, რუსული —„პირველი სიყვარული“ (პრემიერა), **მუსიკალურ დრამის**—„არშინ მალ-ალან“, **ანკულტურის** —„ბრმა მუსიკოსი“.

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

12 ოქტომბერს: რუსთაველის — „ბრძოლა ორიოლთან“, **ოქტომბერი**—„კოლხიდის ნიბრალდნები“, **დამკვრელი** — საზაფხულო „სამშობლოსათვის“, ზამთრის—„ვალსის მელოდიები“, **კომკავშირელი** — საზაფხულო „ლერმონტოვი“, ზამთრის—„დიდი ვალსი“.

მამა პროფ. პეტრე ქავთარაძე, დედა ნელი, ძმები **ლეო** და ნოდარ **ოუნუფრიანები ლილია ქავთარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 13/X, 5 ს. ჯორღანოკის, 20.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲚᲘᲡᲔᲑᲐ

სიცოცხლის შერეული დაზღვევა შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოთ:

1. თქვენი თავი მოხუცებულობაში და უბედური შემთხვევისაგან, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევისათვის.
2. მახლობლები—თქვენი უდროოდ სიკვდილის შემთხვევისათვის. დაზღვევა შეიძლება დაიდოს ყოველ სადაზღვევო თანხაში.

დაზღვევისათვის მიმართეთ სარაიონო (საქალაქო) ფინგანთან არსებულ სახდაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-57-25, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის —3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, [illegible] ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ᲣᲞ 7370

ᲖᲐᲛᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

და მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანელთა მეორე ტყვიამფრქვეველი მოსპეს, დაჭრილი ვაჟკაცები უფროსი მეთაურის ბრძანებით ბრძოლიდან გავიდნენ.

შალვა გვასალიამ იმდენი კიდევ მოახერხა, რომ ბრძოლის ველიდან მძიმედ დაჭრილი მეომარი გამოიყვანა.

კარგი ვაჟკაცობა კარგად დაუფასეს უფროს ლეიტენანტ გივი ბარამბაიას და ზემდეგ შალვა გვასალიას; შენაერთის სარდლობამ მთავრობის მაღალ ჯილდოზე წარადგინა მამაცი ქართველები.

* * *

...კაპიტანი შალვა დავითულიანი! ამ გმირი ქართველი ოფიცრის სახელს აღტაცებითა და პატივისცემით იმეორებს ჩვენი შენაერთის ყოველი მებრძოლი და მეთაური.

ვისაც მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში მისი მჭექარე ხმა გაუგონია, ვისაც გერმანელთა-თავდაცვის ფრინა-კიდეზე მისი ვეფხისებური კმაძარა უნახავს, იგი ამ ნახულსა და გაგონილს ღრმად შეინახავს გულში, როგორც ყველაზე ტკბილსა და ამაღელვებელ ზოსაგონარს.

მრავალი სისხლისმღვრელი ბრძოლა გადაიხადა დავითულიანის ქვეგანაყოფმა, მაგრამ არასად და არასდროს უკანდახევის სირცხვილი და სიმწარე არ განუცდია.

შალვა დავითულიანს, როგორც ბრძოლის ხელმძღვანელს, მრავალი შესანიშნავი თვისება ჰქონდა.

იგი გაბედული იყო, როგორც ადამიანი, როგორც უბრალო რიგითი მებრძოლი; როცა საჭიროება მოითხოვდა, იგი მხარში ამოუდგებოდა თავის მებრძოლებს და მათთან ერთად გადაეშვებოდა ხელჩართულ ბრძოლაში. მისი პირადი ვაჟკაცობა სიმტკიცეს აძლევდა ყოველ მებრძოლს.

ამასთან ერთად იგი გაბედული იყო, როგორც ოფიცერი. მას შეეძლო სწრაფად გადაწყვიტა რთული საბრძოლო ამოცანა. რაგინდ მძიმე და მოულოდნელი საბრძოლო ვითარება უნდა შექმნილიყო ბრძოლის ველზე,—თუნდაც ბრძოლის დაწყების ყველა წინაპირობა ერეკლეს განუყოფელი სიახლოვე ოვის ხალხთან, ხალხის სიყვარული თავისი მოამაგე წინამძღოლისადმი, ერეკლეს თვალის სიმახვილე და გულის სიმაგრე, მისი სამართლიანობა და გულისხმიერება. ხალხის მზადყოფნა—ვაჟკაცურად დაუხვდეს მუხანათ მტერს. ყოველივე ამის შემდეგ მაყურებელი დაძაბული ყურადღებით მოელის საგმირო საქმეთა დატრიალებას, უწმინდესი პატრიოტული გრძნობის მაღალ გამოხატულებას პიესის პერსონაჟთა მოქმედებაში, საქმეში.

მაგრამ პიესის შემდგომს განვითარებაში მის წინა პლანზე, დრამატიული მოქმედების ფოკუსში ოჯახურ ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოშობილი სიტუაციები ექცევიან, „ხლართება ღალატისა და ვერაგობის, მუხანათური გამცემლობის ქსელი, ზედიზედ აღმოცენდებიან ისეთი რთული სცენიური მდგომარეობანი, რომლებიც ცალცალკე აღებულნი შეიძლებოდა გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი ნაწარმოების საფუძვლად.

ანგარების გრძნობით შეპყრობილი დედოფალი დარეჯანი ღალატობს მეფეს ქვეყნის ცხოვრების უმძიმეს წუთებში და იპარავს „ანდერძის წიგნს“. კანცლერი ლეონიძე ხელიდან გამოსტაცებს დედოფალს ამ ნაქურდალ საბუთს და ამით იხსნის მდგომარეობას, თუმცა თავისთავს დიდ ხიფათში აგდებს. მამისა და სამშობლოს მოყვარული, მართალი გულის ბატონიშვილი თეკლე, დაუფარავად და გაბედულად ამხელს საკუთარი დედის ვერაგობას და მუხანათობას. დარეჯანის თანდასწრებით ამცნობს მამას დედოფლის მოღალატეობის შესახებ. დედოფალი მარიამი, უამბობს მეფეს თავისი ძმის რევაზ ციციშვილის გაძეძულობის შესახებ და შემდეგ, როცა ქვეყნის ორგულთა და მოღალატეთა მეოხებით ტყვეობიდან გაქცეული რევაზი სამშობლოში მოუძღვება საქართველოს მოსისხლე მტერთა ურდოებს, მარიამი ხელს აღმართავს ძმის მოსაკლავად.

ყოველი ეს სიტუაცია ცალკე აღებული ი[illegible]დნად რთულია ფსიქოლოგიურად, რომ სცენიდან მათი ჩვენებისას მხატვრული სიმართლისა და დამაჯერებლობის მისაღწევად აუცილებელია მათი გულმოდგინედ შემზადება, დასაბუთება, ღრმად გახსნა. „კრწანისის გმირებში“ კი ეს სიტუაციები ეპიზოდურად ისახებიან, ერთბაშად ინასკვებიან და იხსნებიან კიდეც. ამაში მდგომარეობს პიესის ნაკლი, რომლის მიუხედავადაც ეს ნაწარმოები თავის გარკვეულ ღირსებებათა გამო ნაყოფიერად გამოუყენებია თეატრს ცხოველი პატრიოტული სპექტაკლის შესაქმნელად.

დრამაში დიდი სიწრფელით და ისტორიული სიმართლით არის დახატული აღებული ეპოქის მთელი რიგი ისტორიული პერსონაჟები და პირველ რიგში კრწანისის უპირველესი გმირი—თვით ერეკლე მეორე. მასში სინამდვილით, ისტორიული გითარებით და პერსპექტივის სწორი გააზრებით არის დაყენებული იმდროინდელი საქართველოს შინა-პოლიტიკური ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობათა ძირითადი პრობლემები. პიესაში არის ზოგიერთი ისეთი გონებამახვილურად მოფიქრებული სცენები, რომლებიც ამაღლებენ მისი, როგორც დრამატიული ნაწარმოების დონეს. გარდა უკვე აღნიშნული პირველი საექსპოზიციო სურათებისა, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, მაგალითად, ეპიზოდი თედო გათენაშვილის ქოხში და თავის სარდლებთან ერეკლეს თათბირის სცენა.

პიესა დაწერილია კარგი ქართულით, ფერადოვანი და მხატვრულად დამუშავებული ენით. იგი ტემპერამენტით, შინაგანი გზნებით არის აღბეჭდილი.

რუსთაველის თე